# ახალგაზრდა ივერიელი

სამშაბათი,
27 მარტი,
1990 წ.
№ 33 (11519)

ფასი 3 კაპ.


## გზა მშვიდობისა...

30 მარტი... ამ დღეს თბილისში „იბერიისა“ და ფოთის „კოლხეთის“ მატჩით საზეიმოდ გაიხსნება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. სწორედ ამ საკითხს და კიდევ მრავალ სხვა შეკითხვას უპასუხა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის დარბაზში ამასწინათ გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ პრესის, რადიოს და ტელევიზიის წარმომადგენლები.

როგორც ნოდარ ახალკაცმა აღნიშნა, ეს შეხვედრა მისი სურვილით მოეწყო, რათა ჟურნალისტებსა და მკითხველებს გაეგოთ ყველა ის საკითხი, რომელიც თან ახლავს ეროვნული ჩემპიონატის დაწყებას. იგი შეეხო მოსკოვში ფიფა-ს გენერალურ მდივანთან იოზეფ ბლატერთან შეხვედრას და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე შეიძლება ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდნენ, მაგრამ უახლოეს მომავალში ყველაფერი სასიკეთოდ უნდა შეიცვალოს. მისივე სიტყვებით, თუ არ გამოვეყოფოდით საკავშირო ფედერაციას, ფიფა-ს წევრობაზე ფიქრიც ზედმეტი იქნებოდა, ახლა კავამაგრებთ ჩვენს სტრუქტურას, ჩავატარებთ ჩემპიონატს, საბუთებსაც გავამზადებთ და ფიფა-ში გავგზავნით, იმედია, რომ ამდენ ფაქტს გვერდს ვერ აუვლიან და მერე ალბათ იქიდან დელეგაციასაც მოვიწვევთ, საკუთარი თვალით რომ ნახონ ყველაფერი... სასურველია, რომ ჩემპიონატის გახსნაზე უამრავი ფოტო და ვიდეომასალა მომზადდეს და საზღვარგარეთ გაიგზავნოს, ან კიდევ უცხოურ პრესასაც მიეაწვდინოთ ჩვენი ხმა.

ნოდარ ახალკაცმა ისაუბრა სოხუმის „დინამოზეც“, რომლის საკითხი ამჟამად ბევრ ქართველ გულშემატკივარს აღელვებს. როგორც მან აღნიშნა, გადაწყვეტილება, რომ სოხუმის „დინამომ“ საკავშირო პირველობის I ლიგაში ითამაშოს უკანონოა. რადგან, იგივე ფიფა-ს წესდებით, თუ საქართველოს ფედერაცია გამოეყო საკავშიროს, ჩვენს არც ერთ გუნდს არა აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა საკავშირო პირველობაში. და თვით საკავშირო ფედერაციაც ამით დაარღვევს ფიფა-ს წესდებას, რომლის 41-ე პარაგრაფის 1 მუხლში წერია: „ფიფა-ს ფილიალურ ასოციაციას (ე. ი. საკავშირო ფედერაციას) და მის კლუბებს ფიფა-ს აღმასკომის თანხმობის გარეშე ნება არა აქვთ იქონიონ კავშირი ან ჩაატარონ მატჩები იმ ასოციაციის კლუბებთან, რომლებიც ფიფა-ში არ შედიან“.



რაც შეეხება ქართული ფეხბურთის პოტენციას და მომავალს, ამ კითხვაზე ისევ ნოდარ ახალკაცის სიტყვებით ვუპასუხებთ, რომ: „ჩამოვაყალიბეთ დამოუკიდებელი ფედერაცია და თვენახევრის შემდეგ უკვე დამოუკიდებელ ეროვნულ ჩემპიონატს ვატარებთ, თანაც ისე, რომ არც ერთი ფეხბურთელი და არც ერთი მსაჯი რესპუბლიკის ფარგლებს გარედან არ ჩამოგვყავს... გარწმუნებთ, თამაშები იოლი არსად იქნება, ყველგან ნამდვილი, დაძაბული სპორტული ბრძოლა გაიმართება...

**თამაზ სულაძე**

## შეიქმნა ახალი სადროშო

**ძალიან** დაძაბული და საპასუხისმგებლო ჟამი უდგას ახლა საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებას. საზრუნავი, საფიქრალი და საკეთებელი ძალზედ ბევრია. მაგრამ სოფელი ერთ დღეში ვერ აშენდება. უამრავი ორგანიზაციული საკითხია კვლავაც მოსაგვარებელი. საქართველოს ყველა კუთხეში, ქალაქსა და რაიონში ჯერ კიდევ როდი შექმნილა საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები. ამას წინათ დასრულდა სდს-ის სამეგრელოს სადროშოს ჩამოყალიბება. ამ დიდ რეგიონში დემოგრაფიული ორგანიზაციების შექმნა და მათი ფუნქციონირების დაწყება ახალ მძლავრ ძალას შესძენს საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებას. ათასობით მრავალშვილიანი, ხელმოკლე თუ ახალგაზრდა ოჯახი იმედით შეჰყურებს სდს-ს, ამიტომ მისი ყველა წარმომადგენლის უპირველესი ვალია, ეს იმედი არცერთ მათგანს არ გაუცრუოს. თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს წელგამართული და ჭეშმარიტად ქართული ოჯახები უნდა ედგეს ურყევ ბურჯად. ძლიერი ეროვნული ეკონომიკა საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების, მისი ყველა სადროშოს უმთავრესი საზრუნავია. სხვაგვარად ვერც ოჯახი იქნება წელგამართული დავერც საქართველო. ამის მისაღწევად კი როგორც სდს-ს, ასევე მის სამეგრელოს სადროშოსაც არაერთი სერიოზული ნაბიჯის გადადგმა აქვს განზრახული. დიდ იმედს ვამყარებთ ყველა წარმოება-დაწესებულებასა და ორგანიზაციაზე, რომლებიც გვჯერა, რომ გაგებით მოეკიდებიან სდს-ის უკეთილშობილეს ეროვნულ მიზნებს და თანადგომასა და თანამშრომლობას არ დაგვამადლიან. აქ გადამწყვეტი სიტყვა ამ ორგანიზაცია-დაწესებულებათა თავკაცებმა უნდა თქვან. ერის სასიკეთოდ გადადგმული არცერთი ნაბიჯი არ იქნება დავიწყებული და დაუფასებელი. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და სდს-ის სამეგრელოს სადროშოს დარბაზის სახელით მადლობა მოვახსენო ყველა იმ ადამიანს სამეგრელოს ყველა ქალაქსა და რაიონში, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს დამფუძნებელი კონფერენციების მომზადებასა და ჩატარებაში. ასეთები კი, საბედნიეროდ, მრავალნი გამოჩნდნენ. მხოლოდ ასე, ერთობლივი ძალისხმევით თუ შევძლებთ იმ დიდი მისიის პატიოსნად აღსრულებას, რაც სდს-ს აკისრია ქართველი ერისა და მისი ხვალინდელი დღის წინაშე.

ამასთან, გაცნობებთ, რომ სდს-ის სამეგრელოს სადროშოს გახსნილი აქვს თავისი ანგარიში ქ. ზუგდიდის მრეწვმშენბანკში. მისი ნომერია 70005. სდს-ის სამეგრელოს სადროშოს დარბაზის მისამართია **ქ. ზუგდიდი, ცოტნე დადიანის ქ. № 21.**

მალე სამეგრელოს ყველა რაიონულ და საქალაქო ორგანიზაციასაც ექნება თავისი ანგარიში. მხოლოდ მძლავრ და წელგამართულ ორგანიზაციას შეეძლება ღირსეულად შეასრულოს თავისი მოვალეობა.

**იმედი ჯახუა**

## ქრონიკა, ინფორმაცია

22 მარტს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმზე გადაწყდა, რომ საქართველოს კპ XXVIII ყრილობა მოწვეულ იქნას 1990 წლის 15 მაისს ქ. თბილისში.

●

**— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, შეიქმნა საქართველოს უცხოეთის ტურიზმის განვითარების რესპუბლიკური საგარეო-ეკონომიკური ასოციაცია „საქართველო“.**

●

— საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასთან შეიქმნა მეგობრობის დამოუკიდებელი ასოციაცია „საქართველო — დიდი ბრიტანეთი“.

●

**— წლევანდელი მესამე (მარტის) ნომრიდან ჟურნალი „პიონერი“ გამოვა „ნაკადულის“ სახელწოდებით.**

●

— 24 მარტს, თბილისში, კინოს სახლთან სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თაოსნობით გაიმართა მიტინგი. მისმა მონაწილეებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ლიტველ ხალხს, მხარი დაუჭირეს მათ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ფოტორეპორტაჟი ამ მიტინგის შესახებ იხილეთ მეორე გვერდზე.

●

**მცხეთაში მიმდინარე ხალხმრავალ საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით, ფიზიკის ინსტიტუტში გაიმართა სამეცნიერო საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა დადგენილება:**

**1. ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვული ცენტრის ტერიტორიაზე (მუხათგვერდში) დაიხუროს კვლევითი რეაქტორი და მისი ექსპლუატაციიდან გამოყვანა განხორციელდეს არსებული საერთაშორისო ნორმების შესაბამისად;**

**2. ეთხოვოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებას აკადემიის პრეზიდიუმის წინაშე დააყენოს ფიზიკის ინსტიტუტის ამ დადგენილების დამტკიცების საკითხი.**

●

— 24 მარტს გაიმართა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის II კონგრესი. 25 მარტს მთავრობის სასახლესთან გამართული ხალხმრავალი მიტინგი მიეძღვნა ამ პარტიის შექმნის ერთი წლის თავს.

---

### აშენდება წმინდა ლაზარეს ეკლესია

**კინოსტუდიის ეზოში საფუძველი ჩაეყარა ახალ ეკლესიას**

მე-3 გვ.

### ისე, ვით ფრონტის წინა ხაზზე

**კვლავ მოძრაობის წესების დარღვევის შესახებ**

მე 6-გვ.

### ავტონომიის სინდრომი

**გაგრძელება საუბრისა აჭარის ავტონომიის შესახებ**

მე-7 გვ.

## საქართველოს ჟურნალისტთა ყრილობის

# მიმართვა

## რესპუბლიკის ჟურნალისტებს

**ძვირფასო კოლეგებო!**

ჩვენი დღევანდელი ყრილობა უმნიშვნელოვანესი ეტაპია პროფესიონალ ჟურნალისტთა თავისუფალი, დამოუკიდებელი, ნებაყოფლობითი გაერთიანებების ჩამოყალიბების გზაზე.

ახლანდელ, წინააღმდეგობებით აღსავსე დროში, როცა ერთა თვითგამორკვევისათვის ბრძოლის რთულ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს ერთვის სწრაფვა თავისუფალი აზროვნების აღორძინებისაკენ, იქმნება რაიმე თავმოხვეული ზეგავლენისაგან თავისუფალი, დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს რესპუბლიკაში თავისუფალი სიტყვის, თავისუფალი პრესის პრინციპების დამკვიდრებას.

საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირს თავის უპირველეს ამოცანად მიაჩნია იდგეს თავისუფალი აზრის გამოთქმის სადარაჯოზე, იბრძოლოს თითოეული წევრის კანონიერი უფლებებისა და სრული შემოქმედებითი თავისუფლების მისაღწევად, იზრუნოს ჟურნალისტთა პროფესიული ეთიკის დასაცავად, რადგან ჟურნალისტი მოვალეა მართლად, ობიექტურად ასახავდეს სინამდვილეს და უარი თქვას სარედაქციო დავალების შესრულებაზე, თუ გამომცემლის ან რედაქციის ხელმძღვანელობის მითითება ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი ზნეობის მოთხოვნებს და პირადად ჟურნალისტის მრწამსს.

საქართველოს ჟურნალისტთა ყრილობა, რომელსაც კარგად ესმის ბეჭდვითი სიტყვის ჭეშმარიტი თავისუფლება, თვლის რომ ყველა პარტიულ და პოლიტიკურ გაერთიანებას უნდა ჰქონდეს თავისი ბეჭდვითი ორგანო. თავისუფალი პრესა, ტელევიზია და რადიომაუწყებლობა გამართულ ფინანსურ და ტექნიკურ საწყისებს უნდა დაემყაროს. ეს უახლოესი მომავლის საქმეა. დღევანდელ რეალურ პირობებში კი ყრილობას აუცილებლად მიაჩნია რესპუბლიკაში არსებული პოლიგრაფიული სიმძლავრეები გამოვიყენოთ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

ყრილობა, რომელიც ეროვნული აღორძინების, რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობს, მოუწოდებს ყველა ჟურნალისტს — მართალი სიტყვით, პატიოსნად და შემართებით, აქტიურად იმოქმედოს საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

# ჩვენი თანადგომა ლიტვას

**მიტინგი თბილისში, კინოს სახლთან.**













ავთანდილ გურასაშვილის ფოტორეპორტაჟი.

# თაობა ჯანსაღი რომ იყოს



საქართველოსთვის დემოგრაფიული პრობლემა მეტად მტკივნეული საკითხია. ამის თაობაზე მსჯელობენ პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში, მიტინგებზე, მაგრამ მხოლოდ მსჯელობა და ფაქტების კონსტატირება საქმეს ვერ შველის. საქართველოში ქართველთა შობადობა და ბუნებრივი ნამატი კვლავ კლებულობს. მართალია, ბავშვთა სიკვდილიანობა მცირდება, მაგრამ მოწინავე ქვეყნებთან და საბჭოთა კავშირის ბევრ რესპუბლიკასთან შედარებით იგი მაინც მაღალია.

დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება დიდადაა დამოკიდებული საქართველოს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა მონდომებაზე, მათი მუშაობის პირობებზე, რაც, სამწუხაროდ, სავალალოა. ამის თაობაზე წერდა „კომუნისტი", „ახალგაზრდა კომუნისტი"... წერდნენ, რომ პედიატრიის ინსტიტუტის შენობა ძველი და ამორტიზებულია, ინსტიტუტი განიცდის ფართობის მწვავე უქმარისობას, რის გამოც მისი განყოფილებები მთელ ქალაქშია მიმობნეული, ეს კი ხელმძღვანელობას ართულებს. იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ინსტიტუტს არ გააჩნია თანამედროვე აპარატურა და რომც ჰქონდეს, მისი დასადგმელი ადგილი არ არისო.

ბოლო წლებში საბჭოთა კავშირში მიმდინარე ზოგიერთი ცვლილება პედიატრიის ინსტიტუტებსა და ბავშვთა საავადმყოფოებსაც შეეხო. მრავალ რესპუბლიკაში მეოთხე სამმართველო სწორედ პედიატრიის ინსტიტუტებსა და ბავშვთა საავადმყოფოებს გადაეცა.

საქართველოს პედიატრიის ინსტიტუტის თანამშრომლები იმედოვნებდნენ, რომ ამ მხრივ მათთანაც სასიკეთო ძვრები მოხდებოდა.

ბუნებრივია, ეს პრობლემა ჩვენც გვაღელვებდა და გვაღელვებს. ამიტომ საქართველოს პედიატრიის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ თამაზ ჰურაძეს ვეწვიეთ.

— ჩვენ მოსალოცად გვაქვს საქმე, — გვეუბნება თამაზ ჰურაძე, — მთავრობის თავმჯდომარე თავად გვესტუმრა ინსტიტუტში. ყველაფერი ნახა და ყველაფერი დაათვალიერა, მოუსმინა თანამშრომლებს და, ჩვენს გაჭირვებაში, როგორც იტყვიან, საკუთარი თვალით დარწმუნდა. დარწმუნდა და ჩვენი გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანა. დახმარება აღგვითქვა და სიტყვას საქმეც მოჰყვა. საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, როცა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინადადებას განიხილავდნენ ჩვენთვის ქალაქის მეშვიდე საავადმყოფოსთან მშენებარე ორი კორპუსის გადმოცემის თაობაზე, ყველამ ერთსულოვნება გამოიჩინა.

— საქმე მართლაც მოსალოცად გქონიათ, მაგრამ მშენებარე კორპუსები ხომ ისეთ ადგილზეა, სადაც ჰაერს, ტრანსპორტთან ერთად, ფაბრიკის გამონაბოლქვიც აბინძურებს.

— საბედნიეროდ, ფაბრიკების პრობლემა აღარ შეგვაწუხებს, რადგან მათი გადატანის საკითხი გადაწყვეტილია.

— ეს, რა თქმა უნდა, თქვენი თანამშრომლებისთვის სტიმულის მომცემი იქნება, მაგრამ მათი მატერიალური დაინტერესება ძალზე უმნიშვნელოა, რამდენადაც ვიცით, თქვენი ინსტიტუტი მესამე კატეგორიისა და თანაც მეცნიერ-თანამშრომლის ანაზღაურება 100-120 მანეთია.

— დიახ, შარშანდლამდე ეს ასე იყო, მაგრამ მერე ინსტიტუტი მეორე კატეგორიაზე გადავიდა. ოღონდ კვლავ მინიმალური ანაზღაურებით. შარშან, სექტემბერში, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დახმარებით პირველი კატეგორია მოგვცეს. ოღონდ ხელფასები ამ კატეგორიისათვის კვლავ მინიმალური დარჩა.

— რას მოგცემთ ეს პირობები?

— ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერთა პოტენცია საკმაოდ მაღალია, მაგალითად გვყავს 11 მეცნიერებათა დოქტორი, და მათ რიგებს, სულ მალე, კიდევ ერთი შეემატება. გვყავს 40 მეცნიერებათა კანდიდატი, ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა სპეციალისტი, პირობების გაუმჯობესება ხელს შეგვიწყობს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და სახელშეკრულებო თემების მოცულობის გაზრდაში. იმედია, თანამედროვე აღჭურვილობაც გვექნება, რაც მკურნალობის ეფექტიანობას აამაღლებს.

**ნათელა ხოშტარია**

**სურათზე: მშენებარე კორპუსი, რომელიც პედიატრიის ინსტიტუტს გადაეცემა.**

## საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარეს, „ლელოსა" და „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქციებს

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი მოვითხოვთ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის საკავშირო კალათბურთის ფედერაციიდან გამოყოფას, რადგან საქართველოში მიმდინარე პროცესები ყველა ჭეშმარიტი ქართველისაგან მოითხოვს, დაეხმაროს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, გვერდში ამოუდგეს მას და იბრძოლოს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

ფეხბურთის, რაგბისა და კარატეს ფედერაციებთან ერთად, საქართველოს კალათბურთის ფედერაციაც ვალდებულია, დაიცვას ქართველი ერის ინტერესები; ეს გამოიხატება იმაში, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ დაუყოვნებლივ, კონკრეტულად დასვას საკითხი საკავშირო ფედერაციიდან გამოყოფაზე. ამის განხორციელება, ბუნებრივია, ხელსაც შეუწყობს ქართული კალათბურთის ძველი ტრადიციების აღდგენას. ასე რომ, ყოყმანი ყოვლად გაუმართლებელი და საზიანოა!

**გულშემატკივართა ჯგუფი**
**15 ხელმოწერა**

## შეცდომის გასწორება

**22 მარტის ნომერში „საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების გამო საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადების" მე-5 სვეტში ფეოდალურის ნაცვლად უნდა ეწეროს ფედერალური. რედაქცია ბოდიშს იხდის შეცდომისათვის.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აშენდება წმინდა ლაზარეს ეკლესია

## მამული, ენა, სარწმუნოება

ღმერთს ვუბრუნდებით და წინაპართა იმ ანდერძსაც ვიხსენებთ, ქველ საქმეთა შორის ეკლესიათა მშენებლობას უპირველეს ვალად რომ მიიჩნევდნენ. საქართველოში, სადაც წინაპართაგან დანატოვარი ათასობით ეკლესია-მონასტერია, ბოლო ერთ წელიწადში 200-ზე მეტი წმინდა ტაძარი აღსდგა და ამოქმედდა, დაიწყო ახალთა შენებაც. ამ დღეებში კიდევ ერთი ეკლესიის ფუძე ეკურთხა, რომელიც აშენდება დიღომში, კინოსტუდია „ქართული ფილმის" ეზოში. ამჟამად დიღომში არ არის მოქმედი ეკლესია და კინოსტუდიის ეკლესია (რომლის პროექტის ავტორები არიან არქიტექტორები თეიმურაზ ბერიძე და პავლე ძინძიბაძე) ღია იქნება აქაური მლოცველებისათვის. ამიტომაც იყო, რომ ეკლესიის ფუძის კურთხევაზე კინოსტუდიის თანამშრომლებს გარდა, დიღმის მცხოვრებნიც მოვიდნენ და მადლიერება გამოხატეს ამ კეთილი საქმის გამო.

საზეიმო ცერემონიალი გახსნა კინოსტუდიის დირექტორმა რევაზ ჩხეიძემ. თავისი გულწრფელი სიხარული და მადლობა გამოხატეს სიტყვით გამოსულებმა: ჯუმბერ კოპალიანმა, მიხეილ ვაშაძემ, ირაკლი კაკაბაძემ, თამარ პაპიაშვილმა, ზურაბ კიკნაძემ, ნუგზარ ნაცვლიშვილმა, ალექსანდრე მახარაძემ, ირინა სარიშვილმა.

ასაშენებელი ეკლესიის ადგილი დალოცა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. მან მიულოცა დამსწრე საზოგადოებას საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნება, რომელიც ჭეშმარიტად დიდი მოვლენაა ქართველი ერის ცხოვრებაში. ქართული ეკლესია ავტოკეფალური იყო მეხუთე საუკუნიდან. იგი იყო ის ქრისტიანული საფუძველი, რომელზედაც აშენდა ქართული კულტურა, ლიტერატურა და ხუროთმოძღვრება. ქრისტიანობამ აღზარდა ქართველი ადამიანის სული. შემდეგ ბედის უკუღმართობით ჩვენმა ეკლესიამ ავტოკეფალია დაკარგა. ხოლო 1811 წელს კათალიკოსი ანტონ მეორე რუსეთის მთავრობის მიერ პეტერბურგში იქნა გაწვეული და ქართულ ეკლესიაში ეგზარხოსობის პერიოდი დაიწყო. ამან კი სხვა სიდუხჭირესთან ერთად ეკლესიიდან ქართული ენის განდევნაც გამოიწვია. წირვა-ლოცვა და სასულიერო სემინარიაში სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე ხდებოდა. ბოლო ხანს აღმოჩენილმა ზოგიერთმა ისტორიულმა დოკუმენტმა საშუალება მოგვცა დაგვემტკიცებინა ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობა. ამის მისაღწევად ჩვენი საპატრიარქო 12 წლის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებას მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთან და აი, წელს ეს სასიხარულო მოვლენაც მოხდა — ქართულ ეკლესიას მიეცა ავტოკეფალურობის დამადასტურებელი სიგელი და აღიარებულ იქნა პატრიარქ-მამამთავრის წოდება.

ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ იწყება ქართული ეკლესიის რენესანსი. საქართველოში ისევ გვექნება ხატწერისა თუ საეკლესიო წიგნთა გადაწერის სკოლები, ერს უფლება ექნება აღადგინოს თუ აღაშენოს ეკლესია-მონასტრები და რაც მთავარია, ეკლესია ისეთსავე მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს ერის კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც მას საუკუნეების განმავლობაში ჰქონდა.

კათალიკოს-პატრიარქმა იოანე ღვთისმეტყველის სიტყვებით მიმართა კინოსტუდიის ეზოში შეკრებილ საზოგადოებრიობას — „ღმერთი არის სიყვარული"... სწორედ სიყვარული უნდა იყოს ჩვენი მეგზური საერო საქმეებშიც. ღმერთამდე კი გულწრფელობისა და კეთილშობილების ის გზაწვრილი მიგვიყვანს, რომლის დაუბრკოლებლად გავლაც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ამიტომაც იყო ამაღელვებელი სიტყვით გამოსული ხანდაზმული ადამიანის ის აღსარებაც, რომ მას დღეს უჭირს პირჯვრის გადაწერა შინაგანი განწმენდის გარეშე. შინაგანი განწმენდა კი მხოლოდ საეკლესიო რიტუალების სწორად შესრულებით ვერ მოხდებაო... (შეიძლება ვინმეს ეს სიტყვები ჩვენი დღევანდელი საზოგადოების განკითხვადაც მოეჩვენა, მაგრამ სიმართლეს ვერსად გაექცევი...)

და ბოლოს, კინოსტუდიის ეკლესია იქნება წმინდა ლაზარეს სახელობისა, რომლის სახელიც მჭიდროდ უკავშირდება ქართულ ენას.

**საკუთარი ინფორმაცია.**









# ერთი სევდიანი ისტორია

ამასწინათ ერთ ინტერვიუში მკითხველს აღვუთქვი „კრიტიკიდან“ ჩემი გათავისუფლების მიზეზს დელიკატური მოსაზრებით არ გავაცხადებ, ზოგი ჩემი კოლეგის ავტორიტეტს გავუფრთხილდები-მეთქი, მაგრამ, როგორც ჩანს, ნავსი უნდა გავტეხო. ჯერ ერთი, დუმილი ყოველთვის ოქრო როდია და, ბოლოსდაბოლოს, მკითხველმა სიმართლე უნდა იცოდეს.

გიამბობთ ჩემი „გათავისუფლების“ სევდიან ისტორიას.

ამ ოთხიოდე თვის წინათ მწერალთა კავშირის მდივანმა, პოეტმა ხუტა ბერულავამ დამირეკა, წერილს გიგზავნი და სასწრაფოდ უნდა დაბეჭდოო.

ვისი სახელით მელაპარაკები, ბატონო ხუტა, ასე კატეგორიულად-მეთქი.

სამდივნოს სახელითო.

წავიკითხე წერილი და ელდა მეცა. მურმან ლებანიძე ერის სატკივარის მიმართ ყრუ, წვრილმანთემიან, უნიჭო პოეტად იყო გამოცხადებული.

დავურეკე ბატონ ხუტას და მოვახსენე.

ვერ დავბეჭდავ ამ წერილს. მურმან ლებანიძეზე მე და ქართველ მკითხველს, განსხვავებული აზრი გვაქვს-მეთქი.

ვისი სახელით მელაპარაკებიო,

„კრიტიკის“ რედაქციის სახელით-მეთქი.

გიჩვენებ სეირს, თუ კაცი ვარ, შენც და შენს რედაქციასაცო.

რისთვის-მეთქი.

რისთვის და სამდივნოს იგნორირებისთვისო.

როგორც შემდეგ მდივნებთან საუბარში გაირკვა, მწერალთა კავშირის სხვა მდივნებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ გიორგი პაპუაშვილის წერილზე და ხუტა ბერულავას მუქარაზე. ისინი მშვიდად განაგრძობდნენ თავიანთ რთულ, მდივნურ საქმიანობას.

ბატონი ხუტა კი იმ თვეებში „რესპუბლიკის“ ლიტერატურული ცხოვრების ხელმძღვანელობას მშვენივრად უთავსებდა რედაქტორობიდან ჩემი განთავისუფლების თუნდაც პაწაწკინტელა მიზეზის მოპოვებას.

მიზეზიც მალე გამოჩნდა.

ერთხელ პრეზიდიუმის სხდომაზე „რუსული გულის“ ავტორმა განაცხადა: ჟურნალებმა კრიტიკული წერილები უფრო თამამად უნდა დაბეჭდონ, თუნდაც წერილი მე (მდივანს) შემეხებოდესო.

მე, გულუბრყვილო რედაქტორმა, ხუტას განცხადება სიმართლედ მივიჩნიე და „კრიტიკის“ მე-6 ნომერში დასაბეჭდად ჩავგზავნე თამაზ წივწივაძის ცნობილი სტატია — „მე, მეგობრებო, მოწოდებით არ ვარ პოეტი“.

ლიტერატურულმა მსტოვრებმა თავიანთ შეფ-მდივანს ელვისსისწრაფით აცნობეს; „კრიტიკაში“ შენზე წივწივაძის მიერ დაწერილი, არც თუ საქებარი სტატია იბეჭდებაო.

მდივანმა გონება დაძაბა. „სამდივნოს სახელით“ ჩემი დამინება აღარ გამოდიოდა. რჩებოდა ერთადერთი გზა — რედაქტორის მოხსნა და ჟურნალის დაპატიმრება.

მდივან-პოეტმა სამდივნოს თვალში ნაცარი შეაყარა, ნამდვილი მიზეზი (თ. წივწივაძის წერილი) დაუმალა და კატეგორიულად განაცხადა: „მე, როგორც „კრიტიკის“ კურატორი, მოვითხოვ რ. მიშველაძის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას სტურუასთან არაჯანსაღი კამათის და საერთოდ ჟურნალის არასწორი მიმართულების გამოო“.

არაჯანსაღ კამათად ხ. ბერულავამ სახელოვანი რეჟისორის მიმართ ჩემი პრეტენზია მიიჩნია (ეროვნული მოძრაობის ფერხულში ჩადექი, ქართულ რეპერტუარს მიხედე-მეთქი).

არასწორ მიმართულებად ხ. ბერულავამ „კრიტიკის“ მებრძოლი პოზიცია მიიჩნია (ყოველი ნომრის მოწინავეში ქართველი ერის მტრებს რომ ვამხელდი).

რუსთაველის თეატრთან დავაში მე რომ მართალი ვიყავი, დრომ უკვე დაადასტურა. თეატრის ხელმძღვანელობასაც ეყო კეთილგონიერება და აი, სასიამოვნო შედეგიც — ჩვენი უპირველესი თეატრის აფიშებზე უკვე სჭარბობს ქართული პიესები და თეატრს სამომავლო რეპერტუარის პორტფელშიც ქართული პიესები უხვად ჩაუდვია.

რაც შეეხება „კრიტიკის“ საერთო მიმართულებას, იგი დიაღაც არ იყო ისეთი, რომ ხ. ბერულავას მოსწონებოდა. მე „რუსული გულის“ და „ორი თარილის“ ავტორისაგან რადიკალურად განსხვავებულ პოზიციაზე ვიდექი და ვდგავარ ჩემი შემოქმედებით. იმ მოწინავე წერილებშიც, რომელსაც „კრიტიკას“ წარვუმძღვარებდი ხოლმე, ეროვნული ზარების დარისხვას ვცდილობდი. იმ დროს მწერალთა კავშირის მრისხანე მდივანი ან ადმინისტრაციულ ზომებს იღებდა, „გარეშე ხალხს“ მწერალთა კავშირის კლუბში რაიმე ეროვნული კრება რომ არ გაემართა, ან მოსკოვში გარბოდა თავის მფარველებთან, „რუსული გულის“ გამო პატრიოტები მსდევნიანო, ან „წითელ, საბჭოურ პოეზიას“ თავისი შედევრებით ამდიდრებდა.

კრიტიკისთვის „კრიტიკის“ რედაქტორის გათავისუფლება მკითხველის თვალში, როგორც მდივანს, მწერლებზე მზრუნველ შემოქმედად ვერ გამომაჩენსო, გაიფიქრა ხ. ბერულავამ და თავისი გადაწყვეტილების გასამაგრებლად ახალ ხერხს მიმართა; დაუკავშირდა „კრიტიკის“ რედკოლეგიის ზოგ განაწყენებულ და ზოგ „დამყოლ“ წევრს და სამდივნოს სახელით სთხოვა: „მიშველაძის გათავისუფლება გვინდა და უნდა გვიშველოთო“.

ჩვენ რა ვქნათ, რითი გიშველოთო, ჰკითხეს რედკოლეგიის წევრებმა.

რითი და გუშინ რომ რედკოლეგიის განცხადებას ყველამ სათითაოდ ხელი მოაწერეთ, დღეს უნდა უარჰყოთ, თითქოსდა განცხადება მხოლოდ მოისმინეთ, თქვენ არც ჩაგისწორებიათ და ხელიც არ მოგიწერიათო.

ღმერთი არა გწამთ? სათითაოდ წავიკითხეთ და ჩავასწორეთ კიდეც ჩვენი ხელით, ტყუილი როგორ ვიკადროთ; ასე როგორ გავწიროთ კაკალი კაციო, ამოიკვნესა თურმე ერთ-ერთმა დაბარებულთაგანმა.

სამშობლო თქვენგან სამსახურს ითხოვს, ამოირჩიეთ ან რევაზ მიშველაძე (რომელიც უკვე ნიჩაბზე ზის) ან მთელი მწერალთა კავშირიო — პათეტიურად განაცხადა მდივან-პოეტმა და გაუგონარი რამ არ მომხდარა; ალბათ, ასე აიძულებდნენ ოცდაჩვიდმეტ წელს „სათანადო ორგანოები“ სუსტი ნებისყოფის ადამიანებს ცილი დაეწამათ თავიანთი მოძმისთვის.

როცა მესამე დღეს მწერალთა კავშირში რედკოლეგიის წევრთა მიერ ჩასწორებული და ხელმოწერილი ორიგინალი მივიტანე, უნდა გენახათ რა თვალთმაქცურად გაჰყვიროდა, აღშფოთებისგან ლამის კედელზე ადიოდა ბატონი ხუტა; რა სულმდაბლები ყოფილანო, გაიძახოდა თავიანთი ხელმოწერის უარმყოფელ რედკოლეგიის წევრთა მისამართით. აი, კაცი-მეთქი, კინაღამ გავიფიქრე, რადგანაც ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ წინა დღით მთელი ეს „აფიორა“ ხუტა ბერულავას მოწყობილი იყო.

არა უშავს, ჩვენ მაინც უნდა მოვუხსნათ, მიშველაძის სიმართლეს ორი კაციც ვერ გაიგებსო, დაამშვიდა ხუტამ სამდივნო, მაგრამ სიმართლე ბევრმა გაიგო. „ახალგაზრდა კომუნისტმა“ ბოდიში მოუხდა თავის მკითხველებს; („გვესმის, რომ ამუშავდა ადამიანური ურთიერთობის სინდრომი, განსაკუთრებული ინტენსიობით საქართველოში რომ ვლინდება და ხშირად ჩვენს გაორებას რომ იწვევს ხოლმე“).

ეს სიმართლე ხ. ბერულავას ხელს აღარ აძლევდა და სამდივნოს წინაშე საკითხი დასვა, მიშველაძე დღესვე გავათავისუფლოთ, ნუღარ გადავდებთო.

დააკმაყოფილეს „ორი თარილის“ ავტორის თხოვნა-შუამდგომლობა.

ლიტერატურულმა ჟანდარმმა თავისი საქმე აგერ ა, რევოლუციის ეპოქაში, სახალხო ფრონტებისა და მებრძოლი, ეროვნული საზოგადოებების თვალწინ უტიფრად აღასრულა.

ამგვარი მიზეზით რედაქტორი ბერიას დროსაც არ გაუთავისუფლებიათ.

თქვენ გგონიათ, საქმე ამით დამთავრდა?

ხომ შეიძლებოდა მე „თავისუფალი“ ვყოფილიყავ, მაგრამ თ. წივწივაძის თხზულება ხუტა ბერულავას „ნათელ“ პოეზიაზე „კრიტიკაში“ მაინც დაბეჭდილიყო?

„რუსული გულის“ პატრონმა ესეც გაითვალისწინა.

„კრიტიკა“ დააპატიმრეს. ხ. ბერულავამ ისარგებლა მუხრან მაჭავარიანის მოსკოვში ყოფნით და თვითნებურად „დაჩეხა“ ჟურნალი. ამოყარა მისი ფიქრით „სუსტი“ მასალები და „ძლიერი“ (ისევ მისი ფიქრით) მასალები დატოვა.

ასე რომ, მე-6 ნომრის რედაქტორი თვით ამხანაგი ბერულავა აღმოჩნდა.

ბერიას დროს რედაქტორს რომ დააპატიმრებდნენ, გაზეთს თუ ჟურნალს ხელს არავინ აწერდა.

ყოფილი რედაქტორის გვარის ხსენება ხომ არ შეიძლებოდა და არ შეიძლებოდა.

ჩანს, ეს მეთოდი გაიხსენა ხუტამ, ჩემს მიერ მომზადებული (ხუტასეულ შემოკლებამდე) და გამოცემული ჟურნალის ყდაზე ჩემი გვარი რომ არ გააჭაჭანა.

სიამოვნებით მამხელდა „ხალხის მტრობაში“, საბუთები რომ ჰქონოდა, ხოლო ჩემს მოსახსენებლად, ჩანს, „ხუტას მტრობაც“ საკმარისი იყო.

რაკი „კრიტიკის“ რედაქტორზე გაიმარჯვა, მადა ჭამაში მოვიდა და ხუტამ გადაწყვიტა ბარემ „კრიტიკაზეც“ გაემარჯვა.

ჯერ საჭირო იყო რედაქტორად „მისი კაცი“ დაესვა, ხოლო მოადგილედ „მისი კაცის“ კაცი.

ასეც მოიქცა. დოიაშვილ-ბრეგაძემ აღუთქვეს: „კრიტიკაში“ აწ და მარადის არა თუ შენს შესახებ კრიტიკულ წერილს აღარ დავბეჭდავთ, რომ რაიმე გაგიჭირდეს, მეყვსეულად გამოგექომაგებითო.

როგორ მწყდება გული, რომ ჩემმა უმრწემესმა მეგობრებმა ხუტა ბერულავას გამოსარჩლება ელვისსისწრაფით დაწერილი ისეთი უსუსური წერილით იკისრეს, რომ არა თუ ვერ გააქარწყლეს თ. წივწივაძის წერილის ეფექტი, მგონი „რუსული გულის“ ავტორს, უნებლიედ, დათვური სამსახურიც კი გაუწიეს. მკითხველს ყურადღება გაამახვილებინეს ხ. ბერულავას უმწეო ლექსებზე.

„კრიტიკის“ წმენდის პოლიტიკა გრძელდებოდა კონცლაგერულ-ხუნტური მეთოდებით.

ხუტას დაჟინებითი მოთხოვნით ბრეგაძე-დოიაშვილმა „კრიტიკაში“ მისვლის მესამე დღესვე აიძულეს რედაქტორის მოადგილის „ადგილი დაეცალა“ პოეტ გრიგოლ ჯულუხიძეს (ეს ის გრიგოლ ჯულუხიძეა, რომელსაც ხუტა, რატომღაც, ყოველთვის მტრად თვლიდა და გააფთრებული წინააღმდეგობა გამიწია, როცა მოადგილედ მოვიწვიე).

ხუტას დაჟინებითი მოთხოვნით დოიაშვილ-ბრეგაძემ მოსვლის მეოთხე დღესვე აიძულეს განყოფილების გამგის „ადგილი დაეცალა“ კრიტიკოს ნოდარ გრიგალაშვილს. ეს ის ნოდარ გრიგალაშვილია, რომელმაც „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებიდან ხ. ბერულავას შეჰკადრა, „რუსულ გულში“ ფროლოვისთვის ხოტბა რამ შეგასხმევინა, შე კაცოო (ეს ის ფროლოვია, რომელმაც 1921 წლის 25 თებერვალს კოჯორთან სამშობლოს დამცველი ქართველები დახვრიტა).

ხუტას დაჟინებითი მოთხოვნით დოიაშვილ-ბრეგაძემ „კრიტიკის“ ლიტმუშაკის ნახევარი შტატიდან გაათავისუფლეს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი, უკვე წიგნის ავტორი სევარიონ ნადირაძე (მას ხუტასთვის არაფერი დაუშავებია. დახამაულად ისიც აკმარეს, რომ ჩემი მიღებული იყო სამსახურში).

მე მინახავს რამდენიმე წლის წინათ რუსთაველის პროსპექტზე მოწყენით მიმავალი ნიჭიერი ახალგაზრდა კრიტიკოსი ლევან ბრეგაძე ნაცნობებს რომ შესჩიოდა, უსამართლოდ გამათავისუფლეს, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდეო. როგორ გაუსწორებს იგი თვალს მის მიერვე უმიზეზოდ გათავისუსუფლებულ ახალგაზრდა ნიჭიერ მწერალს სევარიონ ნადირაძეს?

დრო გადიოდა. სიმართლეს ამ ჩვენს დიად ქვეყანაში სხვა დროს როდის გაუმარჯვნია, რომ ახლა გაიმარჯვოს-მეთქი ვფიქრობდი ჩემთვის და ვდუმდი.

მაგრამ პატიოსან ხალხს პირს ვერ აუკრავ.

მართალმა, გაბედულმა ადამიანებმა ხუტას მიერ მოქსოვილი და ორგანიზებული ინსინუაციების ბადის გარღვევა სცადეს.

ჯერ „ლიტერატურულ საქართველოში“ ცნობილი საზოგადო მოღვაწეების ხელმოწერით პატარა განცხადება გაჩნდა რ. მიშველაძეს ცილს ნუ სწამებთ, მისი კალამი ჩვენი ცხოვრების ზნეობრივ მანკიერებათა მხილების სამსახურში მაშინაც იდგა, როცა სიმართლის თქმა აკრძალული იყოო. მერე ნოდარ წულეისკირმა დაწერა, მიშველაძის „კრიტიკის“ რედაქტორობიდან გათავისუფლება უსამართლობად მიმაჩნიაო.

მერე „საქართველოდან“ გურამ პეტრიაშვილი გამომექომაგა.

თამაზ წივწივაძემ „ლიტერატურულ საქართველოშივე“ (წერილში „ამხანაგო ბრეგაძევ, ძმაო დოიაშვილო“) გააცხადა „კრიტიკის“ დაპატიმრების და ჩემი გათავისუფლების მიზეზი.

მერე გაზეთი „მედიცინის მუშაკი“ გამომესარჩლა გოლა ხვედელიძის ვრცელი სტატიით.

მწერალთა კავშირში და მინისტრთა საბჭოში, როგორც მითხრეს, 300-მდე კაცის ხელმოწერით კოლექტიური წერილი მივიდა, „კრიტიკაში“ დააბრუნეთ რევაზ მიშველაძეო.

რესპუბლიკის პროფსაბჭომ ჩემი განთავისუფლება უკანონოდ სცნო და მ. მაჭავარიანს მოსწერა, დაუყოვნებლივ გააუქმეთ ბრძანებაო.

რესპუბლიკის პროკურატურამ ბიულეტენზე მყოფი რედაქტორის განთავისუფლება კანონის დარღვევად მიიჩნია და სპეციალური განჩინებით გააუქმა „კრიტიკიდან“ რ. მიშველაძის მოხსნის ბრძანება.

მაშ, მე არაფერი შემძლებიაო, მაშ, მე ერთი პატარა რედაქტორიც ვერ მომიხსნიაო, ქოში უკუღმა ჰყარა ხუტამ და სამდივნოს (რომელზეც საეჭვოდ დიდი გავლენა აქვს) — განუცხადა — როგორც კი მიშველაძეს დააბრუნებთ, მდივნობას დავტოვებო.

ოღონდ შენ არ დაგვაობლო და ჯანდაბას მიშველაძის თავიო, დაამშვიდეს.

აი, ასეთი მდივანი ჰყავს საქართველოს მწერალთა კავშირს, ბატონებო.

**რევაზ მიშველაძე**

**რედაქციისაგან: მკითხველის თვალწინ კიდევ ერთი სევდიანი ისტორია გადაიშალა. რაოდენ სამწუხაროა, რომ იგი ჩვენს ეროვნულ მექას — მწერალთა კავშირს დაუკავშირდა.**

**ამა წლის 6 მარტს რესპუბლიკის პროფკავშირმა მწერალთა კავშირის სამდივნოს მოსწერა: „რესპუბლიკური კომიტეტი წინადადებას გაძლევთ, გააუქმოთ ბრძანება რ. მიშველაძის ჟურნალ „კრიტიკის“ რედაქტორის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ, როგორც უკანონო“ (ხელს აწერს ს. ხატიაშვილი).**

**რესპუბლიკის პროკურატურის პროტესტი, რომელიც 13 მარტს მუხრან მაჭავარიანის სახელზე გაიგზავნა, ამ სიტყვებით ბოლოვდება: „გთხოვთ, გააუქმოთ საქართველოს მწერალთა კავშირის 1989 წლის 7 დეკემბრის № 40 ბრძანება რ. ა. მიშველაძის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ და აღადგინოთ იგი წინანდელ თანამდებობაზე“. (ხელს აწერს რესპუბლიკის პროკურორი ვ. რაზმაძე).**

**კამათი თეატრის საკითხებზე ძირითადად ჩვენს გაზეთში გაიშალა და ამიტომაც მოკრძალებით ჩვენი აზრიც უნდა გაუწყოთ: ლ. სანიკიძის წერილის და მინაწერის დაბეჭდვისთვის პლურალიზმის ამ ეპოქაში „კრიტიკის“ რედაქტორი იქნებ საყვედურს იმსახურებდა, მაგრამ უაპელაციოდ გათავისუფლებას, არავითარ შემთხვევაში.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „...ბილ ოტორვან ოტ კომსომოლსკოი ჟიზნი!“

ისე მოხდა, რომ კომკავშირულ „ასაკში“ „ახალგაზრდა ივერიელის“ წინამორბედის ფურცლებზე არცერთი წერილი არ დამისტამბია, „ასაკგასულს“ კი, გაგიხარია, — უამრავი, თუმცა, არა ყველაფერი, რისი დაბეჭდვის სურვილიც გამჩენია.

ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო და აქვე ვთქვა: 1986-ში „ახალგაზრდა ივერიელის“ წინამორბედის გაბედულ რედაქციას კომკავშირის ცეკა-ს „ძლიერი“ ხელის ფათურით მიღებული „სიამოვნება“ რომ არ ეგრძნო, ჩემს ირგვლივ დატრიალებული „კომკავშირული ისტორიის“ ამსახველი მასალის დაბეჭდვასაც და ჩემს დაცვასაც მოახერხებდა..

1986 წლის 16 იანვარს (იმხანად უკვე 34 წლის გახლდით!) ჩემზე დაიწერა განცხადება თუ საჩივარი (ავტორის ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებ, რამეთუ ყველაფერი მაინც დროს მინდა დავაბრალო და არა იმ განცხადების ავტორს), რომელიც რუსულ ენაზე იყო დაწერილი და რომლის ავტორსაც თურმე ჩემთან საუბრისას გაურკვევია, რომ:

**«Во первых, с января 1976 по май 1977 года Г. Г. Пацация работал внештатным сотрудником Института философии АН ГССР, а на комсомольском учете стоял в другом, Орджоникидзевском районе. В это же время занимался шабашничеством в Прязерском районе Ленинградской области (по анонимному телефонному звонку мне было сообщено, что прокуратура данного района интересовалась его делом);**

**Во вторых, с ноября 1978 года по ноябрь 1980 г. Г. Г. Пацация находился в Москве в ИСИ АН СССР, но не снялся с комсомольского учета и был оторван от комсомольской жизни.**

**Эти факты дают мне основания усомниться в целесообразности принятия Г. Г. Пацация в ряды КПСС и его дальнейшего пребывания в научном партийном учреждении ЦК».**

ზემორე აღნიშნულს იმავ ავტორისაგან სხვა კითხვებიც დაემატა, მაგრამ უკვე იმ კომისიისადმი დასმული, რომელმაც თითქმის ერთი წელი იკვლია ჩემი „კომკავშირული წარსული“: სახელდობრ, ვიხდიდი თუ არა კომკავშირის საწევროს იმ ხელფასიდან, რომელსაც მეხანძრედ და ქიმიური პრეპარატების ქარხანაში მუშად მუშაობის დროს ვღებულობდი (უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ერთხანს უნივერსიტეტში ხელშეკრულებით ვიმუშავე, რომლის დასრულებისას ავრჩი უმუშევარი და დროებით ვმუშაობდი აღნიშნულ „თანამდებობებზე“)!..

მაპატიოს ისტორიულ მარადისობაში გადასულმა საქართველოს კომკავშირმა, შვიდთუმნიანი მეხანძრეობიდან საწევრო გადასახადი თუ დავაკელი!

„ახალგაზრდა ივერიელის“ წინამორბედმა, გულწრფელი სურვილის მიუხედავად, ვერ მოახერხა იმჟამად ჩემი დაცვა, ვინაიდან იგი იმათი „ორგანო“ გახლდათ, რომელთა სახელითაც მდევნიდნენ.

დღევანდელი „ახალგაზრდა ივერიელი“ თავისუფალია, მან საქართველოს თავისუფლებას დაასწროო!

წალმა შემოვევლე „ახალგაზრდა ივერიელს“!

ჰფარვიდეს შენს თავისუფლებას უფალი, „ახალგაზრდა ივერიელო“!

**გერმანე ფაცაცია,**

**ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

# გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქციას

**გარეგნულად** თითქოს ჩაცხრა შიდა ქართლში უმძიმესი მდგომარეობა. ოფიციალური ცნობებით, ცხინვალის რაიონში, იქაურმა ქართველმა და ოსმა მოსახლეობამ დაძაბული დღეები უკან მოიტოვა და ახლა ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მშვიდობა ისადგურებს. იქნებ რედაქციიდან ცხინვალში და მისი რაიონის სოფლებში მივლინებულ კორესპონდენტსაც გარეგნულად მშვიდი მოეჩვენოს იქ არსებული სიტუაცია — დღისით ხალხი ჩვეულებრივ გამოდის ქუჩაში, შრომობს, სწავლობს, თითქოს საგანგაშო არაფერი ხდება...

და მაინც, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოველდღიურ შეტყობინებებში დანაშაულთა რაოდენობით ცხინვალის რაიონი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

და მაინც, რედაქციაში უამრავი წერილი შემოდის, მოდიან შიდა ქართლიდან სპეციალურად ჩამოსული ცალკე ქართველები, ცალკე ოსები, შეშფოთებული გვირეკავენ თბილისელები, რომელთაც ნათესაური კავშირი აქვთ შიდა ქართლის მკვიდრებთან, წუხან მოქალაქეები...

სარედაქციო ფოსტაში ერთმა მეტად სერიოზულმა წერილმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. სერიოზულმა, იმ გაგებით, რომ მისი 28 ავტორი კვლავ უკიდურესად საგანგაშოდ მიიჩნევს შიდა ქართლის მდგომარეობას და მკაცრ ბრალდებას უყენებს იმ თანამდებობის პირებს, რომელთაც ამ რეგიონში სიტუაციის ნორმალიზებაზე ზრუნვა ავალიათ.

**„მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანს სიტუაცია თითქოს და განიმუხტა, დამშვიდების უფლება არა გვაქვს,** — აღნიშნულია წერილში — **ოს მოსახლეობაში დიდი რაოდენობით არის იარაღი, მისი ამოღება არც დაწყებულა, დამნაშავენი არ დასჯილან. ქართული მილიცია ცხინვალში არ ჩანს, სოფლებში კი მხოლოდ დღისით დაინახავთ, ღამით თითქმის არ არიან და თუ დგანან პოსტებზე, უმეტესად არაფხიზელ მდგომარეობაში არიან. ცხინვალში ქართველებისათვის კვლავ დიდ საშიშროებას წარმოადგენს ქუჩებში გამოჩენა და ქართულ ენაზე ლაპარაკი, სამსახურებში მათ ისევ არ უშვებენ, არ აძლევენ ხელფასს. არის ქართველების, განსაკუთრებით ქალების ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევები. ათობით ქართველის მანქანაა დამტვრეული და გაქურდული.**

**ჩვენთვის, შიდა ქართლის ქართველებისათვის განსაკუთრებით გულსატკენია ის, რომ ყოველივე ამას ხელს უწყობს ჩვენივე თანამემამულეთა მოღალატური ქმედება, კერძოდ კი მათი, ვისაც სამსახურეობრივი მდგომარეობით ევალებათ ამ რეგიონში სიმშვიდის დამყარება; ამის ნაცვლად ისინი ხელს უწყობენ ოსი ექსტრემისტებისა და მათ მიერ მოტყუებული ოსი ხალხის დიდი ნაწილის თავგასულობას".**

წერილის ავტორებს მოჰყავთ შიდა ქართლში დატრიალებული ტრაგედიების მხოლოდ ის შემთხვევები, რომელთა უშუალო მოწმენი თავად არიან და რომელთა შესახებაც უტყუარი დამამტკიცებელი საბუთები გააჩნიათ. წერილში აღნიშნულია:

— როგორ განთავისუფლდნენ თოთო ბავშვის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირები, რომლებიც ხალხმა თავად ჩააბარა მილიციას, როგორ გაიფანტა სხვადასხვა ინსტანციებში გაგზავნა-გამოგზავნით დამნაშავეთა ახსნა-განმარტებითი ბარათები;

— როგორ თავისუფლდებოდნენ სხვა დამნაშავენი, მათ შორის ერთი, პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად როგორ გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში;

— დღესაც როგორ დათარეშობენ ცხინვალის რაიონში ტერორისტული ორგანიზაციის წევრები — გაზაევი, ქასაევი, ვალიევი, კაჩმაზოვი და სხვები;

— როგორ დააკავა ერედველმა და ფრისელმა მოსახლეობამ ოსი მილიციელები — გაგიევი, ფილიევი, გაბარაევი, ვალიევი, ქოქოევი, კაცელაშვილი, მამიტოვი, სანაკოევი, ჩოჩიევი, ქუმარიტოვი, გაგლოევი, კოჩიევი, რომელთაც აღმოაჩნდათ ავტომატები, ყუმბარები და ორ-ორი პისტოლეტი და რომელთაც აღიარეს, რომ მაღალი თანამდებობის პირისაგან ჰქონდათ დავალებული ოსი ექსტრემისტებისათვის გადაეცათ არსენალი;

— როგორ სცემეს უცნობმა თავდამსხმელებმა ცხინვალის № 1 საშუალო სკოლის მოსწავლეები;

— რა შეურაცხყოფა მიაყენეს ცხინვალ-თბილისის მიმართულებით მიმავალი ავტობუსის მგზავრებს — ქართველ ცოლ-ქმარს;

— როგორ სცემეს დვანიდან ცხინვალში ჩასულ ქართველებს, მათ შორის ქალებს, რომელთა ნაწილიც ამჟამად გორის საავადმყოფოში არიან მოთავსებულნი.

ყოველივე ეს და სხვა ათობით დანაშაული, წერილის ავტორთა ღრმა რწმენით, უპირველესად იმ თანამდებობის პირებს ბრალდებათ, რომლებიც თავს არიდებენ სამსახურეობრივ პასუხისმგებლობას და მეტიც, რიგ შემთხვევაში ემხრობიან და ხელს უწყობენ ოსი ექსტრემისტების ქმედებებს. წერილში შინაგან საქმეთა ორგანოების რამდენიმე მუშაკია დასახელებული, მათ შორის გ. კვანტალიანი, ზ. ხაზალია, ვ. შადური. წერილის ავტორები მკაცრად მოითხოვენ ამ პირების თანამდებობიდან განთავისუფლებას.

რედაქცია თავს უფლებას ვერ მისცემს იურიდიულ შუამავლად დაუდგეს აღნიშნულ პირებსა და მომჩივან ხალხს, თუმცა მიგვაჩნია, რომ ის დამამტკიცებელი საბუთები, რომელიც შიდა ქართლის ქართველობას გააჩნია. უნდა ინახოს, გადაისინჯოს, შესწავლილ და განხილულ იქნას.

**„კატეგორიულად მოვითხოვ განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან საქართველოს სსრ პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა,** — აღნიშნულია წერილში — **რადგან იგი არის „ადამონ ნიხასის" სულიერი დედა, ოსი ექსტრემისტების სულისჩამდგმელი და თანამზრახველი. მას დიდი წვლილი მიუძღვის ოსების მიერ იარაღის შემოტანაში და ორ ერს შორის მტრობისა და უნდობლობის გაღვივებაში. ასევე ვგმობთ გენერალ კ. ცაგოლოვის საქციელს და მოვითხოვთ მის გაძევებას საქართველოდან. იგი მოსკოვიდან მოგვევლინა ვითომდა, კეთილი სურვილებით, სინამდვილეში კი ხელმძღვანელობს „ადამონ ნიხასს", აქეზებს ოს ექსტრემისტებს, ამარაგებს იარაღით".**

კვლავ ციტატა წერილიდან: **„...დროა ყველა ქართველმა, განურჩევლად თანამდებობისა, გულთან მიიტანოს შიდა ქართლის ქართველობის უკიდურესი მდგომარეობა და მიიღოს უმკაცრესი გადამჭრელი ზომები. შიდა ქართლის ქართველობა მოვითხოვთ მხილებული და დასჯილი იქნენ ყველა ზემოთაღნიშნული პირები, რომლებიც ემსახურებიან ერთა შორის განხეთქილების გამწვავებას, ღალატობენ ქართველ ხალხს, ქართულ მიწას და საერთოდ ადამიანობას".**

და ხელმოწერები: თ. ბერუაშვილი, გ. ლუდიჩიშვილი, ზ. ჭულუხაძე, ე. ხეთაგური, ც. მზარეულიშვილი, ს. ჭულუხაძე, ნ. რაზმაძე, მ. ჭულუხაძე, მ. ჭულუხაძე, ც. ბაიდაური, ზ. მაისურაძე, გ. ჭოველიძე, გ. ოთინაშვილი, რ. მალალდაძე, ნ. ოთინაშვილი, რ. გოგიძე, მ. მეტრეველი, ნ. მეტრეველი, მ. გაბარაშვილი, მ. ღერკენაშვილი, ი. კასრაძე, მ. კასრაძე, ქ. კასრაძე, ც. კასრაძე, ე. მეტრეველი, ფ. ოთინაშვილი, ე. მოგიძე.

ცხადია, წერილში მოყვანილ ფაქტებს შემოწმება სჭირდება, გაჭირვებული და დაჩაგრული კაცისგან გაზვიადებაცაა მოსალოდნელი, ძალზე ძნელია სულ მცირეც კი დააბრალო ადამიანს, მით უმეტეს თანამემამულეს, მით უმეტეს ასეთ ცოდვიან საქმეში, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — დანაშაული დანაშაულს მოსდევს და ხელიდან გვეცლებიან სათითაოდ ჩვენი მიწის შვილები, ჩვენი ღირსება და ადამიანობა, რაც მთავარია, ჩვენი ზღაპრადთქმული ძმობა.

## სამართლისა და მორალის განუყოფილება.

●

ჩვენთანაც მოვიდა „ახალგაზრდა ივერიელი", მოვიდა ერთიანი და ძლიერი, დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს განცდით, ძირძველი, ფუძემოურყეველი კერის მარადიულობის თახთაზირობის რწმენით, ახალგაზრდული შემართებებით და ჰაბუკური ოცნებებით, მომხიბვლელობით. თქვენთან ვართ მარად და ყველგან თელაველები.

**„ალაზნის განთიადის" რედაქცია**

●

დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემი წერილი — „არ დაიჯერო" დაიბეჭდა ახალგაზრდული გაზეთის ნათლობის დღეს, 20 მარტს. სამწუხაროდ, წერილში დაშვებულია შეცდომა: დასახელებული ციფრი — 250 მილიარდი ტონა მარგანეცი არ შეეფერება სინამდვილეს, უნდა ყოფილიყო 250 მილიონი. სპეციალისტებმა მომაწოდეს უფრო დაზუსტებული ციფრიც — 240 მილიონი. რამდენადმე გაზვიადებულია ფულადი გაანგარიშებაც. თუმცა, ეს არ ცვლის მოვლენის არსს: მარგანეცი გამოისყიდის საქართველოს ყოველგვარ „ვალს" საბჭოთა კავშირის წინაშე, ამის დაჯერება ნამდვილად შეიძლება! მაგრამ საქართველო ხომ მარტო მარგანეცი არ არის?

პატივისცემით
**რომან მიმინოშვილი**

●

„ახალგაზრდა ივერიელი" — ეს მშვენიერია! დიდებულია! სულით და გულით ვულოცავ ქართველ მკითხველს, მთელ საქართველოს, „ახალგაზრდა ივერიელის" თანამშრომლებს ამ მშვენიერ ფერისცვალებას...

მოლოცვას რამდენიმე კითხვაც მინდა მოვაყოლო, რომლებზეც პასუხის გაცემა მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

„ახალგაზრდა ივერიელის" პირველი ნომრის მოწინავეში ნათქვამია, რომ გაზეთის შემოსავალი პარტიულ ბიუჯეტში მიდის. როგორ გავიგოთ ეს სახელად ჩვენი და სახრავად სხვისი? „ახალგაზრდა კომუნისტის" შემოსავალი, გასაგებია, ღალასავით რომ მიჰქონდა პარტიულ უწყებას, მაგრამ „ახალგაზრდა ივერიელის" შემოსავალთან „პარტიულ ბიუჯეტს" რა ესაქმება? კომკავშირი, რომლის ორგანოც გახლდათ „ახკომი", ღვთის წყალობით, წარსულს ბარდება. „ახალგაზრდა ივერიელი" ვისი ორგანო უნდა იყოს — სრულიად საქართველოს ახალგაზრდობის? რომელიმე უწყების? ადამიანთა გარკვეული ჯგუფის?

რა მიმართულებით აპირებს „ახალგაზრდა ივერიელი" მუშაობის წარმართვას, რა გეგმები და მიზნები აქვს?

დამაფიქრა რამდენიმე ბოლო პუბლიკაციამ. პროლეტკულტობამ, აწ „ეროვნული ელფერით" შეფერილმა, ვერ უნდა იხაროს მის ფურცლებზე. მხოლოდ მაღალი ინტელექტით, მაღალი იდეალების უანგარო მსახურებით თუ შევიძლებთ წავადგეთ მამულს, ახალთაობის ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდის საქმეს.

კარგი იქნება, თუ „ახალგაზრდა ივერიელი" უახლოეს ხანებში მოაწყობს კონფერენციას, სადაც ფართო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას.

**ვახტანგ ხარჩილავა,**
**მწერალი**

●

გილოცავთ შინაარსისა და ფორმის ერთიანობას, გისურვებთ წარმატებებს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. წინასწარ მადლობას ვუხდი იმ მხატვარს, რომელიც ანაზღაურების გარეშე შეასრულებს მხატვრულად ახალშობილ სათაურს.

**მურმან ვახანია,**
**ჩხოროწყუს რაიონის ნაფიჩხოვოს საშუალო სკოლის მასწავლებელი.**

# რა დაუშავა ბურლაცკიმ ბუხნიკაშვილს?

**ეგრეთწოდებულმა** ცენტრალურმა პრესამ (ვთქვათ პირდაპირ, იგი, უბრალოდ, რუსული პრესაა) ბოლო წლებში იმდენად შეგვაჩვია ანტიქართული, ცილისმწამებლური მასალების ფრქვევას, უკვე ერთგვარი ინტერესითაც კი ვიღებთ ხელში ბევრი ჟურნალის და გაზეთის ყოველ ახალ ნომერს, აბა, დღეს რითი „გაგვახარებენო".

ანტიქართულ ფრონტზე უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით „გამოიჩინა თავი" აწ უკვე რუსეთის მწერალთა კავშირის ორგანომ „ლიტერატურნაია როსიამ" (ასე აქციეს რსფსრ რუსეთად!), რომელიც, შეიძლება ითქვას, ნომერსა და შემთხვევას არ უშვებს, რომ გესლიანად არ გაჰკრას კბილი ქართველებსა და საქართველოს. რაღა თქმა უნდა, იგი ვერასოდეს „ვერ ახერხებს" ამგვარი პუბლიკაციების პასუხად აქედან გაგზავნილი წერილების დაბეჭდვას.

და აი, ამ გაზეთის 19 იანვრის ნომერში, როგორც იქნა, დაიბეჭდა **თბილისიდან გაგზავნილი, ქართველი კაცის,** მეცნიერ-მუშაკის ი. ა. ბუხნიკაშვილის, როგორც რედაქციის მცირე წინათქმაშია აღნიშნული, „გულმოსული წერილი".

ერთი პირობა, როგორც იტყვიან, სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი („ნუთუ, ბოლოს და ბოლოს, სინდისმა შეაწუხათ და ცალკარა თამაშზე ხელი აიღეს?!"), მაგრამ წერილი რომ სულმოუთქმელად ჩავიკითხე, სასიამოვნო გაკვირვება ფრიად უსიამოვნო გაკვირვებით შემეცვალა.

თუმცა, სჯობია, ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

წერილის სათაურია „კიდევ ერთხელ „ჰოლანდიურ პროექტზე" ანუ სსრკ სახალხო დეპუტატის ოცნებაზე, დაასახლოს კოლონისტები მოსკოვის გარშემო".

გეთანხმებით, პატივცემულო მკითხველო, სად თბილისელი ბუხნიკაშვილი და სად მოსკოვის გარშემო კოლონისტების დასახლების პრობლემა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, ქართველი მეცნიერ-მუშაკისთვის ნამდვილად ამ პრობლემას აულებინებია ხელში კალამი.

პრობლემა კი, მოკლედ, აი რაში მდგომარეობს:

„ლიტერატურნაია გაზეტას" 1989 წლის 18 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა სსრკ სახალხო დეპუტატის ფ. ბურლაცკის სტატია „ჰოლანდიური პროექტი", რომელშიც წამოყენებულია იდეა, ჰოლანდიიდან ათასამდე ფერმერის ჩამოყვანისა, რომლებიც დასახლდებიან რა მოსკოვის გარშემო, შექმნიან ფერმერულ მეურნეობებს და ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტენ მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგების საკითხს.

და სწორედ ამ იდეას, ბურლაცკის ამ ოცნებას აღუშფოთებია ჩვენი თანამემამულე, რომლის აზრითაც მის განხორციელებას არასასურველი, „გვერდითი მოვლენები" მოჰყვება.

აღშფოთებული ბუხნიკაშვილის „გულმოსული წერილი" მოსკოვისადმი, ამ „ჩვენი სამშობლოს გულისადმი" ჭეშმარიტად მამულიშვილური, პატრიოტული ზრუნვით, მაღალი პოლიტიკურ-პარტიული შეგნებით აღსავსე სტრიქონებით იწყება: **„განა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რომ მოსკოვის სურსათით მომარაგება უსერიოზულეს ეკონომიკურ საკითხს წარმოადგენს, და არამარტო ეკონომიკურს, არამედ დიდ სოციალურ-პოლიტიკურ საკითხსაც. ასეთი საკითხები დროა გადაწყდეს, სულ მცირე, პოლიტბიუროს დონეზე, ანდა სახალხო რეფერენდუმები ჩავატაროთ".**

ესეც თქვენ, ქართული ეროვნული მოძრაობის მესვეურებო! რომ დაგიყინებიათ, ქართველებისათვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში მდგომარეობსო, და რეფერენდუმების მოწყობაც ამ და სხვა ვიწროკუთხური მნიშვნელობის პრობლემებისადმი მიძღვნილი წარმოგიდგენიათ! ნუთუ ასე ძნელი მისახვედრია, რომ მთავარი ეს კი არა, მოსკოვის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა ყოფილა (?!). „განა ამას ლაპარაკი უნდა"! ხომ მიხვდა ამას ამხ. ბუხნიკაშვილი?! ასე რომ, სასწრაფოდ შეცვალეთ პლატფორმა, ხომ ხედავთ, მოსკოვი საფრთხეშია! თანაც, დალოცვილებო, ამასწინათ რომ აიტეხეთ, პოლიტბიუროს წევრები ჩამოვიდნენ თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე მოსალაპარაკებლადო, გინდოდათ, მოსკოვი უსურსათოდ დაგეტოვებინათ (იმ დღეებში, ისინი რომ აქ იქნებოდნენ, ვინ მიხედავდა პროდუქტების საქმეს?! (?) კიდევ კარგი, მიგიხვდნენ ამ ბოროტ ჩანაფიქრს და არ ჩამოვიდნენ!

ანდა, ეს ბურლაცკი რომ იძახის, ჰოლანდიელი ფერმერები ჩამოვიყვანოთ, მოსკოვის გარშემო მიწები დავურიგოთ და ისინი არა მარტო მოსკოვის კართოფილით და ბოსტნეულით უზრუნველყოფის საქმეს დაადგამენ თავს, ამასთან ერთად ჩვენს გლეხებს ლექციებს წაუკითხავენ ფერმერული მეურნეობის შესახებო, სახლებისა და გზების მშენებლობაში მიიღებენ მონაწილეობასო, აბა, ერთი მოუსმინოს ჩვენს ბუხნიკაშვილს, რას ფიქრობს ყოველივე ამის შესახებ: **„მინდა ვკითხო ბურლაცკის: რატომ აპირებს ამ ექსპერიმენტის წამოწყებას მაინცდამაინც მოსკოვის ოლქში? ხომ შეეძლო დასაწყისისათვის აერჩია უფრო მოკრძალებული მასშტაბი, ვთქვათ, წაეექსპერიმენტებინა თავის აგარაკზე, ჩამოეყვანა თავისთან საერთაშორისო კონტრაქტით ერთიორი ჰოლანდიელი ფერმერი და დაე იქ მოესინჯათ მთელი თავისი „სასოფლო-სამეურნეო წარმოების არატრადიციული ფორმები".**

მიგიხვდი, ჩემო ბუხნიკაშვილო, მიგიხვდი; დასახლდებიან მოსკოვის გარშემო გადამთიელი ჰოლანდიელი ფერმერები, და თქვენი ტერმინოლოგიით, „ჩვენს გლეხებს" თავს მოახვევენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მათთვის არატრადიციულ ფორმას — ფერმერულ მეურნეობას (ხომ დაკარგეს მაშინ გამორჩეული სახე ჩვენმა გლეხებმა! — ესაა თქვენი შეშფოთების ქვეტექსტი, ხომ, პატ. ბუხნიკაშვილო?!)!

თანაც, პეტრე პირველს რომ იხსენებს (**„შეიძლება, სწორედ ჰოლანდია, ისევე როგორც სამი საუკუნის წინ მოხდა ეს, პეტრე პირველის დროს, ახლაც ქმედით გავლენას მოახდენს ჩვენს შინაგან განვითარებაზე"**) — **„კარგი იქნებოდა, ბურლაცკის ისიც გაეხსენებინა, რომ რუსეთის იმპერატორი ყოველთვის ფრთხილად ეკიდებოდა რუსული ქალაქების უცხოელებით დასახლებას; როგორც ჩანს, რაღაცეებს და ვიღაცეებს ანგარიშს უწევდა, თუმცა, არა უბრალოდ, პეტრე პირველი იყო რუსულ ტახტზე, არამედ პეტრე დიდი, და შეეძლო ყველაფრის უფლება მიეცა საკუთარი თავისათვის..."**

აბა რა ეგონა დეპუტატ ბურლაცკის, ვერ მიუხვდებოდა შავბნელ განზრახვას მეცნიერ-მუშაკი ბუხნიკაშვილი?! მოინდომა ვაჟბატონმა რუსული ქალაქების ვიღაც-ვიღაცეებით დასახლება, ისე რომ რაღაც-რაღაცეებს ანგარიშს არ უწევს (იმედია, ამ „რაღაც-რაღაცეებში" ამხ. ბუხნიკაშვილი უფრო დალაგებით გაგვარკვევს)!..

(დასასრული მე-7 გვ.).



# ისე, ვით ფრონტის წინა ხაზზე

**იაფი** პროპაგანდის მიზნით არასოდეს გამიმუქებია ფერები. თანამემამულეებთან მრავალრიცხოვანი შეხვედრების დროს თუ საგაზეთო პუბლიკაციებში ყოველთვის ვცდილობ იოტისოდენაც არ გავაყალბო სინამდვილე და ხალხს საქმის რეალური მდგომარეობა წარმოვუჩინო. ან რა განსაკუთრებული მტკიცება უნდა იმ ჭეშმარიტებას, რომ დიდი სიჩქარით მოძრავი ავტომობილების შეჯახებისა თუ გადაბრუნების დროს ასანთის ღერებივით ილეწება რკინა და ძვალი, სისხლით იღებება სალონი, ყოველთვის შემზარავია შემთხვევის ადგილზე დაღუპულთა ღიად დარჩენილ თვალებში გამოხატული გაყინული შიში და უსაზღვრო სასოწარკვეთილება, ბავშვის დეფორმირებული ფეხსაცმელი თუ ქალის არაბუნებრივად მოხრილი უსიცოცხლო სხეული...

შეუძლებელია კაცი „შეეჩვიოს" ამ საშინელებას, სადღეისოდ კი ნამდვილი უბედურება ტრიალებს საქართველოს საავტომობილო გზებზე, ეროვნული ტრაგედია. უარესი ვითარების წარმოდგენაც შეუძლებელია! მდგომარეობა ისე რიგად გართულდა, რომ ამდენი საშინელების მხილველ ადამიანს თმა ყალყზე მიდგება...

მიმდინარე წლის 25 მარტის მონაცემებით, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 211 ერთეულით იმატა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვმა, გარდაცვლილთა რაოდენობა 73 ერთეულით გაიზარდა, 202 ერთეულით იმატა მძიმედ დაშავებულთა რაოდენობამ!

ურთულესი ვითარება შეიქმნა თბილისში, აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქუთაისში, ქალაქებში: გორში, ზუგდიდში, რუსთავში; სამტრედიის, ქუთაისის, ხაშურის მოტორიზებული ოცეულების სამოქმედო ტერიტორიებზე, სენაკის, ხობის, თერჯოლის, სიღნაღის, ხარაგაულის, ოზურგეთის, კასპის, ბოლნისისა და სხვა რაიონებში, სადაც მკვეთრად იმატა ავტოავარიების მაჩვენებლებმა. ასე თუ გაგრძელდა, ნამდვილი კატასტროფის წინაშე დავდგებით. რაც საუკუნეების მანძილზე არაბ-მონღოლთა და სხვა ჯურ-ჯილაგის დამპყრობთა თარეშმა, ცეცხლმა და მახვილმა დაგვაკლო, ახლა გზა და მგზავრობა გვილებს ბოლოს. ავტომაგისტრალი მოქმედი ფრონტის წინა ხაზს დაემსგავსა.

თბილისი-ბესლანის საავტომობილო გზის მეათე კილომეტრზე, სოფელ ნაოზასთან ავტომანქანა „ჟიგული", რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამენეჯერო კურსების სტუდენტი დ. წერეთელი მართავდა, შეეჯახა სატვირთო ავტომობილს, რის შედეგად „ჟიგულის" მძღოლი და მისი მგზავრი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალნენ, 3 ადამიანი მძიმედ დაშავდა.

სიღნაღის რაიონში თბილისი-ლაგოდეხის საავტომობილო გზის 125-ე კილომეტრზე „ჟიგული", რომელსაც მფლობელი გ. სესიტაშვილი მართავდა, გადავიდა სავალი ნაწილის შემხვედრი მოძრაობის ზოლზე და ტრაქტორს შეეჯახა. მსუბუქი ავტომობილის მძღოლი და მისი სამი მგზავრი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალნენ.

3 მარტს საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულთან „გაზ-21" მარკის ავტომობილი, რომელსაც თბილისის № 103 საშუალო სკოლის მოსწავლე თ. შალვაშვილი მართავდა, დაეჯახა 1987 წელს დაბადებულ ბავშვს, რომელიც შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

4 მარტს დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირთან მექანიზაციის სამმართველოს ქინვალის № 13 ტრესტის კუთვნილი „კრაზის" მარკის ავტომობილი, რომელსაც მთვრალ მდგომარეობაში მყოფი მძღოლი რ. გალეგაშვილი მართავდა, შეეჯახა „ჟიგულს", რის შედეგადაც 2 ადამიანი გარდაიცვალა, ერთი მგზავრი კი მძიმედ დაშავდა.

ტრაგედია მოხდა 5 მარტსაც დავით აღმაშენებლის ხეივანში. „ჟიგული", რომელსაც მფლობელი ი. ჩიტიშვილი მართავდა, შეეჯახა ავტობუსს, რის შედეგადაც მსუბუქი ავტომობილის ერთი მგზავრი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო ორი ადამიანი მძიმედ დაშავდა. ყველანი საშუალო სკოლის მოსწავლეები არიან...

აქ ფიგურირებული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს დაღუპულთა უმეტესობის ასაკიც 18-19 წელს არ სცილდება!

განა შეიძლება ვინმე გულგრილი დატოვოს ამ შემზარავმა ტრაგედიებმა? რა თქმა უნდა, არა. ხშირად მთელი საქართველო გაითავისებს ხოლმე გზაზე მომხდარ უბედურებას და გულწრფელად გლოვობს, მაგრამ, სამწუხაროდ, აუცილებელი, საჭირო და საბოლოო დასკვნა ბევრს არ გამოაქვს; მძღოლს სიფრთხილე არ ემატება.

მეტად საგულისხმო და დამაფიქრებელია რკინიგზის მე-2 საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილების გამგის თ. სამუშიას საუბარიც ამ საავადმყოფოში ავტოავარიასთან დაკავშირებით მისულ ავტოინსპექციის თანამშრომლებთან; შეშფოთებულმა მედიცინის მუშაკმა, განაცხადა, ასეთი შემთხვევები იმდენად ხშირია, რომ უკვე აპარატურა და მედიკამენტებიც კი არ გვყოფნისო. ისიც დაუმატა გულმოკლულად, რომ ტრავმირებულთა უმეტესობა ახალგაზრდები არიანო...

სხვა რომ არა იყოს რა, ცხადია, ეს გარემოება რა უმძიმეს ტვირთად აწვება საქართველოს ისედაც რთულ დემოგრაფიულ პრობლემას, რა ხიფათულეებს უქმნის მის დღევანდელობასა და მომავალს. პირდაპირ ვიტყვი, საგზაო დისციპლინა თუ არ ავამაღლეთ, საქმე კიდევ უფრო ცუდად წავცივა. ახლა ბევრია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ უჩვეულოდ გახშირდა ახალგაზრდების მონაწილეობით მომხდარი სისხლის სამართლის დანაშაულობანი, რომ ძალზე გახშირდა მკვლელობები და დაჭრის შემთხვევები, მაგრამ განა ნაკლებ დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს მძღოლის უდისციპლინობა. როცა ამას უცილობლად თან სდევს ადამიანთა უაზრო მსხვერპლი და დასახიჩრება? მიმდინარე წლის მხოლოდ 2 თვეში სტუდენტების, მოსწავლე-ახალგაზრდების მიზეზით 22 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, რომელმაც 9 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 31 კი მძიმედ დაშავდა.

განა ნამდვილი მკვლელი არ გახლავთ საჭესთან წამოსკუპებული მთვრალი მძღოლიც?

წლეულს, მხოლოდ ორ თვეში მთვრალი მძღოლების მიზეზით მომხდარი ავტოავარიების რიცხვმა 166,6 პროცენტით იმატა, მის შედეგად გარდაცვლილ ადამიანთა რაოდენობა სამჯერ გაიზარდა, დაშავდა 120 პროცენტით მეტი ადამიანი!

როგორც არაერთხელ გვითქვამს, ავტოავარიების განმაპირობებელი მიზეზები მრავალგვარია, მაგრამ უმთავრესი, რასაკვირველია, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა დისციპლინაა.

დისციპლინა, რომელიც ამ ბოლო დროს ბევრი მძღოლისათვის არაფრისმთქმელ ცნებად იქცა. დაუკვირდით: ვისაც სად მოესურვება, იქ აჩერებს მანქანას, სადაც უნდა იქ უხვევს და რა სიჩქარეც ესიამოვნება, იმ სიჩქარით მიაგელვებს ავტომობილს. მე კი არც ერთი ტრიბუნა არ მეგულება, საიდანაც თავაშვებულებას, უდისციპლინობასა და მოქალაქეობრივი წესრიგის უგულებელყოფას ქადაგებდნენ, მით უმეტეს, საგზაო წესრიგისას, რომლის დაცვაც აუცილებელია ყველა ვითარებაში, ყველა პირობებსა და სიტუაციაში, რადგან იგი აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს ნებისმიერ საზოგადოებას, იწვევს შეუქცევად პროცესებს, ბოლოს და ბოლოს, თუ მოძრაობის უსაფრთხოების წესებს უყოყმანოდ იცავს ამერიკელი, ინგლისელი, იაპონელი, იტალიელი, გერმანელი, ფრანგი თუ მოზამბიკელი, პატივისცემით ეკიდებიან საგზაო კანონებს, უფრთხილდებიან თავის და სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ჩვენ ვისზე ნაკლები ვართ, რა უბედურება გვჭირს ასეთი. როდესაც ერთიან ბედნიერი მომავლისათვის ძალისხმევისაკენ ქუდზე კაცს ვუხმობთ, ცხადია, ეს ჭეშმარიტებაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს.

რასაკვირველია, ჩვენს მუშაობაშიც უამრავი პრობლემები გვაქვს და ამის შესახებაც არაერთხელ განმიცხადებია საჯაროდ. ცხადია, ყოველთვის უდიდეს აღშფოთებას იწვევს ავტოინსპექტორის ულირსი საქციელი. დღესაც, როცა ქვეყანა თავზე გვენგრევა, ერის სასიცოცხლო საკითხები წყდება, ზოგიერთი უკეთური ისევ თავისი ჯიბის გასქელებაზე ფიქრობს, მაგრამ ვაი, რომ ჯერჯერობით ვერ შევძელით ამ მანკიერების ამოფხვრა...

გულწრფელად ვიტყვი, ჩვენი მხრივ საქმეს მოწადინებას არ ვაკლებთ, ვაკეთებთ იმას, რის საშუალებასაც გვაძლევს დრო და გარემოება, რაც ექვემდებარება ჩვენს ძალებსა და შესაძლებლობებს.

სადღეისოდ ვაპირებთ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადასვლას, რადგან ვფიქრობთ, რომ იგი უფრო სრულად გამოავლენს სახელმწიფო ავტოინსპექციის პოტენციურ შესაძლებლობებს, გამზადებულია საქართველოს უზენაეს საბჭოში წარსადგენად შემუშავებული პროექტი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, სადაც ვეცადეთ გაგვეთვალისწინებინა ჩვენი მძღოლებისა და ქვეითების ეროვნული ხასიათი ადმინისტრაციული ღონისძიების ეფექტურობისა და ქმედითობის ამაღლების მიზნით და სხვა, მაგრამ ეს მართლაც წვეთი იქნება ზღვაში, თუ ავტოინსპექციასა და ხალხს შორის ნამდვილი, ფორმალიზმისგან განწმენდილი ურთიერთთანამშრომლობა არ დამყარდა. უპირველეს ყოვლისა კი, რადგან ჯერჯერობით გზისა და ავტომობილის საიმედოობის გაზრდისათვის, სათანადო აპარატურისა და თანამედროვე ტექნიკის შეძენა-დანერგვისათვის საკმაო ოქრო და ვერცხლი არ გაგვაჩნია, როგორც აღვნიშნეთ, აუცილებელია ავამაღლოთ პირადი დისციპლინა, შეგნებულ, პატრიოტულ მოვალეობად ვაქციოთ იგი, რომ რამდენადმე შევამციროთ საქართველოს გზებზე ავტომობილებით გაჩაღებული ხოცვა-ჟლეტა; ხოცვა-ჟლეტა — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

და ბოლოს, აქ ერთ გარემოებაზეც მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. მეგობრებო, 172 პროცენტით გაიზარდა ეგრეთწოდებული გაუხსნელი ავტოავარიების რიცხვი. ამ შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა 160 პროცენტით გაიზარდა, ხოლო დაშავებულთა რიცხვმა 131 პროცენტით იმატა! დაუდგენელია იმ ბოროტმოქმედთა ვინაობა, რომლებმაც მიატოვეს თავისი მიზეზით განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანი და ავტომობილიანად შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სახავტოინსპექციაში კი ამ ამბის მომსწრე და მნახველი არც ერთი მოქალაქის შეტყობინება არ შემოსულა. რა არის ეს, გულგრილობა, თუ მისი შიში, ვაი თუ სასამართლოში მოწმედ „წანწალით" მაწვალონ და შარი „ამკიდონო"? მაგრამ ხომ შესაძლებელია ტელეფონით დაგვირეკონ მაინც, საკუთარი გვარის დაუსახელებლად, ანონიმურად შეგვატყობინონ ის, რაც დაინახეს და დაამახსოვრდათ: ავტომობილის სახელმწიფო სანომრე ნიშანი, ტრანსპორტის ფერი, მარკა თუ სხვა?

დანაშაული დაუსჯელად არ უნდა დარჩეს. თორემ, უბედურება ყველას აშოროს, ხვალ და ზეგ შეიძლება უარესიც მოხდეს.

**გიორგი ცინცაძე,**
**საქართველოს სსრ შსს სახავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი.**

# საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ შოთა გორგოძეს

დღემდე ძალიან ცოტა კეთდებოდა პატიმრების უფლებების დაცვისათვის, არ ექცეოდა ყურადღება მათთვის სასჯელის მოხდის ადგილებში პირობების გაუმჯობესებას. დიდი ხანია რუსთავში მეტალურგიული და ცემენტის ქარხნების მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შრომა-გასწორების კოლონიები № უ. ი. 123/23 და № უ. ი. 123/29.

დღეს დაუშვებლად მიგვაჩნია ზემოთ დასახელებული ქარხნების მიმდებარე სანიტარულ ზონაში შრომა-გასწორების კოლონიების არსებობა, სადაც პატიმარი ფაქტიურად ორმაგად ისჯება: ერთი, რომ მას აღკვეთილი აქვს თავისუფლება გარკვეული ვადით და მეორეც — ამ ტერიტორიაზე ეკოლოგიურად კატასტროფული მდგომარეობის გამო ადამიანის ყოფნა დასაშვებია მხოლოდ გარკვეული პერიოდით.

ცნობილია, რომ ამ ტერიტორიაზე მტვრის საშუალო წლიური კონცენტრაცია 10-ჯერ აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას (1989 წლის სექტემბერში კი 20-ჯერ აღემატებოდა), აგრეთვე ნორმაზე მეტია თითქმის ყველა ინგრედიენტი, რაზეც აწარმოებს კვირვებას ჰიდრომეტცენტრი.

აქედან გამომდინარე, კატეგორიულად მოვითხოვთ უმოკლეს ვადაში გადატანილ იქნას შრომა-გასწორების კოლონიები ამ ტერიტორიიდან. ეს ჩვენი ზნეობრივი და ადამიანური მოვალეობაა.

**ზურაბ ჟვანია,**
**საქართველოს მწვანეთა მოძრაობის აღმასრულებელი მდივანი;**
**ზურაბ მაჭავარია,**
**მალხაზ ზიწაძე,**
**საქართველოს მწვანეთა მოძრაობის რუსთავის ორგანიზაციის წევრები.**

# ხელოვნების „ადამიანის ინსტიტუტი“ ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ელენემ სიცოცხლეშივე თავის შემოქმედებით კერაში, იქ, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა (ლ. ქიაჩელის ქ. № 12) დაამკვიდრა შესანიშნავი ტრადიცია — „ცოცხალი აზრის საღამოები“: ეს იყო ცნობილ მოღვაწეთა შეხვედრები ხალხთან, გამოფენები, კონცერტები, დისკუსიები. ეს საღამოები მოიცავდა არა მარტო ხელოვნების სფეროებს, ამ სახლის სტუმრები და, რაც მთავარია, საღამოთა მონაწილენი იყვნენ ცნობილი ფიზიკოსები, ბიოლოგები, ჰუმანიტარი მეცნიერები და სხვა. ეს იყო ელენე ახვლედიანის მეორე სიცოცხლე და მისი ამ დიდი სულიერებით ერი იღებდა თავისი ირაციონალური განვითარების მნიშვნელოვან საზრდოს. ეს გზა კეთილნაყოფიერებისა გრძელდება.

ახლა ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში მუშაობა დაიწყო ხელოვნების „ადამიანის ინსტიტუტმა“. მუზეუმის დირექცია სიხარულით შეხვდა ამ წამოწყებას. ინსტიტუტს გათვალისწინებული აქვს ადამიანის პრობლემის ხელოვნებისეული ასპექტის მრავალი ურთულესი საკითხის დასმა და შესაძლებელი გადაწყვეტა, მეცნიერების, ხელოვნების, რელიგიის შეხების წერტილების გამოძებნა. მუშაობას საფუძვლად უდევს სახელოვანი ქართველი მეცნიერის, დიმიტრი უზნაძის ადამიანის ქვეცნობიერი ბუნების ფენომენოლოგიური ასპექტები, სოციოლოგიური, ბიოლოგიური, ფილოსოფიური მიდგომები. მაგალითისათვის: რას წარმოადგენს ადამიანის ადამიანური ფონდების რესურსები და რეზერვები, გზა ადამიანის იდეალისაკენ, „მე“ ფსიქიკისა და „არა მე“ ფსიქიკის რაობა ხელოვნებაში.

გასვლითი სემინარები მოეწყობა ელენე ახვლედიანის მშობლიურ და საყვარელ ქალაქ თელავში, სადაც 21 მაისს ყოველწლიურად მისი ხსოვნის დღეები — „ელენეობა“ ტარდება.

ხელოვნების „ადამიანის ინსტიტუტის“ მუშაობას წარმართავს და სემინარებს ხელმძღვანელობს ელენე ახვლედიანის დისწული, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მეცნიერებათა ფილოსოფიის საბჭოს სწავლული მდივანი, ქალბატონი ირინე კალანდაძე. ინსტიტუტის ღონისძიებებში მონაწილეობს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი (მდივანი სემიდა ჯმუხაძე). სემინარის წევრები არიან: საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი თამაზ სანიკიძე, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი თენგიზ ფერაძე, საქართველოს სახალხო არტისტები: ზინა კვერენჩხილაძე, მედეა ფანიაშვილი, თამაზ ბათიაშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი შერმაზან ყაყიჩაშვილი, კინორეჟისორი დევი ივანოვი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი დენიზა სუმბაძე, აღმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ნელი მახარაძე, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის თბილისის რესპუბლიკური სასახლის ნორჩ შემოქმედთა სტუდიის გამგე მიხეილ გოგუაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ზოგადი ფიზიკის კათედრის გამგე ციალა ლოლაძე, მხატვარი ჯოვანი ვეფხვაძე და სხვები.

სემინარი, აგრეთვე, იმუშავებს ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში, რათა ამ საქმიანობაში ჩააბას უფროსკლასელი მოსწავლეები.

ხელოვნების „ადამიანის ინსტიტუტის“ ჩამოყალიბებას ქალბატონი ირინე კალანდაძე თვლის თავისი მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტად და უძღვნის ელენე ახვლედიანის სხოვნას.

ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმის ტელეფონია: 99-74-12 შეგვეხმიანეთ სურვილისდამიხედვით.

ᲔᲡᲛᲐ ᲒᲝᲛᲔᲚᲐᲣᲠᲘ

# ავტონომიის სინდრომი

უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებულმა პუბლიკაციებმა აჭარის ავტონომიის შესახებ თვალნათლივ გვიჩვენა ქართველი საზოგადოების წუხილი უკანონოდ შექმნილი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის თაობაზე. ეს არცაა შემთხვევითი. 1921 წლის 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, 16 ივნისს კი შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა...

ბოლშევიკებმა იმთავითვე აჭარლები არაქართველებად გამოგვაცხადეს, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი წლების მანძილზე „ზეიმით“ აღგვენიშნა ეს თარიღები, გამოქვეყნებულიყო „სამეცნიერო“ ნაშრომები და პუბლიკაციები, განსხვავებული აზრი კი ლამის სამშობლოს ღალატად აღიქმებოდა. ცხოვრების წინსვლამ საშუალება მოგვცა გულწრფელად გამოვთქვათ ჩვენი შეხედულებანი ადრე ტაბუდადებულ საკითხებზე.

იმპერიალისტთა ნაცადი მეთოდის („გათიშე და იბატონე“) გამოყენებით, ბოლშევიკებმა საქართველო დაქსაქსეს რელიგიური თუ კუთხური მოტივების მიხედვით, გაუმართლებლად შექმნეს ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები. ფ. მახარაძე, თავიანთი საქციელი რომ გაემართლებინა ულმობლად ლანძღავდა მენშევიკებს, რომ არ მისცა ავტონომია ისეთ „ეროვნულ უმცირესობას“, როგორიც „აჭარელი ხალხია“. ხელოვნურად შეკოწიწებულმა იმპერიამ დიდხანს ვერ შეძლო სიმშვიდის შენარჩუნება და მთელი საბჭოთა კავშირი ეროვნებათაშორისი შუღლის ასპარეზად იქცა. ეს არცაა გასაკვირი. ჯერ კიდევ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ბოლშევიკები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებლებს აქეზებდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. მ. აბაშიძის თქმით, აჭარას საქართველოს წინააღმდეგ „ამხედრებდნენ ბოლშევიკები, რუსი მოხელისეები, აზერბაიჯანელი აგენტები...“

აჭარის ასსრ სპეციფიკურია საქართველოში არსებულ ავტონომიურ ფორმირებათა შორის. იგი საბჭოთა რუსეთისა და ქემალისტური ოსმალეთის გარიგების საფუძველზე შექმნა. მოსკოვის 1921 წ. 16 მარტის ხელშეკრულების II მუხლის მიხედვით, ოსმალეთი თანხმდება საქართველოს დაუთმოს სუვერენიტეტი ბათუმსა და მის ოლქზე იმ პირობით, რომ ა) „ხელშეკრულების ამ მუხლში მითითებულ ტერიტორიაზე მცხოვრებნი ისარგებლებენ ფართო ადგილობრივი ავტონომიით ადმინისტრაციული მხრივ, რომელიც თითოეულ თემს უზრუნველყოფს კულტურული და რელიგიური უფლებით და რომ მოსახლეობას მიეცემა შესაძლებლობა გაატაროს ისეთი აგრარული კანონები, რომელიც მის სურვილებს შეესაბამება; ბ) რომ ოსმალეთს მიენიჭება თავისუფალი ტრანზიტი ყოველგვარი საქონლისა, რომელიც იგზავნება ოსმალეთში ან იქიდან ბათუმის ნავსადგურის საშუალებით, უბაჟოდ, რაიმე გადასახადის გარეშე“. (ვ. ნოზაძე — „საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“). ხელშეკრულების ხელმომწერ არც ერთ მხარეს არაფერი უკითხავს, თუმცა გასაბჭოებულ, მაგრამ იურიდიულად ჯერ კიდევ დამოუკიდებელი საქართველოსათვის. რას უნდა მიეწეროს ეს — ხელმძღვანელთა უვიცობას თუ საქართველოს ტერიტორიული დაქუცმაცებისა და ეროვნული ძალების დაქსაქსვის წინასწარგანზრახულ მცდელობას?

დღეს, ზოგიერთი „ავტონომისტი“, ეწევა რა რელიგიური რწმენით სპეკულაციას, თავისი საარჩევნო პროგრამით ხალხს ჰპირდება, რომ დაიცავს აჭარის ავტონომიას“, როგორც ერის კონსოლიდაციის საფუძველს, ოღონდაც აირჩიონ დეპუტატად. ასეთი აბსურდული შეხედულებები კომენტარს არ საჭიროებს, მითუმეტეს, რომ იგი უკვე გაბათილდა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის მ. მახარაძის არგუმენტირებული წერილით.

ბოლშევიკების მიერ აჭარლების არაქართველებად გამოცხადება დააკანონა ავტონომიამ, ამასთან, ერთის მხრივ, დაამახინჯა ზოგიერთის ეროვნული ცნობიერება, ქართველი მოსახლეობის (არა მარტო ქართველის) ერთ ნაწილს კი (სამწუხაროდ ზოგიერთ ინტელიგენტსაც) დღესაც ეპარება ეჭვი აქაურთა ქართველობაში. ასეთი ადამიანების მისამართით მინდა განვაცხადო: აჭარა, საერთოდ ისტორიული მესხეთი, ქართული კულტურის უძველესი კერაა, ქრისტეს მცნების პირველი აღმსარებელია — მე ვამაყობ, რომ სწორედ აქ დავიბადე და გავიზარდე.

აჭარის ტერიტორიაზე შემორჩენილი და ნაპოვნი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ის წარმოადგენდა საქართველოს მოწინავე მხარეს. აჭარაში ადამიანი ცხოვრობდა ნეოლითის პერიოდში. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია რკინის სადნობი ღუმელები, მონეტები, წყალგაყვანილობის მილები, სამკაულები, რაც ავსებს ქართველი ერის სახელოვანი ისტორიის ფურცლებს. ჭოროხის ხეობაში უძველეს დროში ადგილობრივი მადნიდან ადნობდნენ რკინას. ქსენოფონტეს, აპოლონიოს როდოსელის, სტრაბონისა და სხვა ნაშრომებში მითითებულია, რომ სამხრეთ-ქართველური ტომები, რომლებიც ცხოვრობდნენ მდ. ჭოროხის აუზში ჩვ. წ. აღ-მდე VI-I საუკუნეებში, განთქმული იყვნენ განვითარებული მეტალურგიით; ნ. მარის თქმით, „სწორედ მდ. ჭოროხის აუზში, და არა რიონზე მოსახლეობდა როგორც ჩანს, ტომი, რომელმაც შექმნა ძველი კოლხიდა“. დიდი ილია ამბობდა: „ჩვენი სასიქადულო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ამ მხრის კაცი იყო. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა... სწავლა-განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთ დროს“.

თურქთა ხანგრძლივი ბატონობის პირობებშიც კი ვერ გატეხეს ქართველის სული. ქრისტიანობის დაცვას არა ერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ძალით გამაჰმადიანებული ქართველები, რომლებიც მალულად ასრულებდნენ ქრისტიანულ წესებს, ოსმალებმა მირეკეს ადიდებულ ჭოროხთან. სიცოცხლეს უნარჩუნებდნენ იმას, რომელიც უარყოფდა ქრისტიანობას. 50 ოჯახიდან მხოლოდ ხუთი ადამიანი დარჩა ცოცხალი, დანარჩენი წყალში ჩაახრჩეს. ხანგრძლივი ძალმომრეობისა და იძულების მიუხედავად, აქაურთა გამაჰმადიანება მხოლოდ თანზიმათის (აჭარაში თურქთა ბატონობის ბოლო პერიოდში გატარებული რეფორმები) შემდეგ შეძლეს, მაგრამ მაინც ვერ მოშხამეს ამ კუთხის ეროვნული სხეული. აჭარელი ქალი მჭადს გამოცხობისას ჯვარს დასახატავდა და იმ გვერდით გააკრავდა კეცზე — ოსმალომ არ დამინახოსო (ეს ტრადიცია დღესაცაა შემორჩენილი). სწორედ ამიტომ შეინარჩუნა ამ რეგიონმა ქართული ყოფისა და კულტურისათვის დამახასიათებელი ზოგადეთნიკური ელემენტები, რითაც ის დაუპირისპირდა ისლამზე დაფუძნებულ ოსმალურ ყაიდის ცხოვრების წესს. მსგავსი მაგალითების დასახელება კიდევ შეიძლება, მაგრამ უკვე ნათქვამიც საკმარისია, რომ გარკვევით ითქვას: სიბეცე და ჩამორჩენილობაა აჭარელთა არაქართველობის შესახებ გაფიქრებაც კი, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ასეთი გაუცხოება იარსებებს მანამ, სანამ იარსებებს ავტონომია.

აჭარის ავტონომია, სასწრაფოდ გასაუქმებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის შეიძლება ისევ რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკების მსხვერპლი გახდეს: ისტორიული გამოცდილებით ვიცით, გადამთიელთა „მზრუნველობის სიკეთე“. რუსეთის მზრუნველობის შედეგი იყო ის, რომ ჯერ კიდევ 1829 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერისას, ხელიდან იქნა გაშვებული ბათუმისა და მისი ოლქის საქართველოსთან შეერთების რეალური შანსი. საქართველოს „მფარველი და მზრუნველი“ რუსეთი 1920 წლის 7 მაისს აღიარებს ბათუმს საქართველოს სისხლხორცეულ ნაწილად, რამოდენიმე კვირის შემდეგ კი, 2 ივნისს სპეციალური ნოტით, ცნობს თურქეთის „ეროვნულ პაქტს“. სწორედ ეს „ეროვნული პაქტი“ დაედო საფუძვლად 1921 წ. 16 მარტის ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც ბათუმ-არდაგან ყარსი თურქეთის მიწა-წყალად იქნა აღიარებული და საქართველოს 13046 კვ. კმ. ქართული ტერიტორია დაკარგა. ამ ხელშეკრულების ძალით თურქეთი დღესაც ინარჩუნებს უფლებას პრეტენზია განაცხადოს „პირობით“ დათმობილ ბათუმსა და მის ოლქზე, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი კი თურქეთისათვის 16 მარტის უკანონო ხელშეკრულების ურღვევობის გარანტიაა.

დღეს საზოგადოებაში მომწიფებულია აზრი ავტონომიური რესპუბლიკის გასაუქმებლად. სხვათა შორის, საზოგადოება თავიდანვე უარყოფითად შეხვდა ავტონომიურობას. ქართული არმიის ოფიცერი ჯემალბეგ ხიმშიაშვილი ამბობდა: „აჭარას არც წინათ სურდა და არც ახლა სურს ავტონომია... აჭარას არ სურს ავტონომია და იგი საქართველოს უერთდება, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი“. საზოგადოების ეს განწყობილება ცხადყო 1919 წ. თებერვალში ჩატარებულმა არჩევნებმა, რომელმაც პლებისციტის სახე მიიღო. პლებისციტი დაამტკიცა, რომ ბათუმი და მისი ოლქი საქართველოა, მისი სისხლხორცეული ნაწილი და არ საჭიროებს არავითარ ავტონომიას: რომ თურქეთი არასოდეს არ იქნება აქაურთა ორიენტირი. კარგი იქნება გამოვიყენოთ ეს ჩვენი წინა გამოცდილება და ჩავატაროთ რეფერენდუმი. (ეს აზრი უკვე გამოითქვა, 17 მარტის „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე ტარიელ ფუტკარაძის სტატიაში: „თავისუფლების შოვნაი, სჯობს საშოვნელსა ყველასა“ ანუ ვის სჭირდება აჭარის ავტონომია“, ამიტომ კარგი იქნება, აჭარაში მოქმედი სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან შეიქმნას რეფერენდუმის მომწყობი კომისია. ძნელი არაა განჭვრეტა რეფერენდუმის წინასწარი შედეგებისა, რომელიც საშუალებას მოგვცემს საქართველოს ზურგს უკან ხელმოწერილი სამარცხვინო გარიგება ბათილად გამოვაცხადოთ. ღმერთმა გვისმინოს!

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲤᲣᲢᲙᲐᲠᲐᲫᲔ,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტი.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ახლა კი ჩემის მხრივ მინდა ვკითხო ბატ. ბუხნიკაშვილს: რასაკვირველია, კარგია, ასე რომ შეუწუხებიხართ მოსკოვის პროდუქტებით უზრუნველყოფის პრობლემას, მაგრამ, ერთი მიბრძანეთ, გეთაყვა, რატომაა მაინცდამაინც მოსკოვის მომარაგება უმნიშვნელოვანესი ეკონომიკურ-სოციალურ-პოლიტიკური საკითხი?! ისეთი საკითხი, თურმე აუცილებლად პოლიტბიუროს დონეზე გადაწყვეტასა და რეფერენდუმების მოწყობას რომ იმსახურებს (ისე, საინტერესოა, კონკრეტულად მაინც როგორ წარმოგიდგენიათ ეს რეფერენდუმი? რა კითხვის შეტანას ფიქრობთ ბიულეტენში? ამისას ხომ არა: „სჭირდებათ თუ არა მოსკოველებს ჭამა?)! რა, ვითომ სხვა ქალაქების, თუნდაც თქვენი მშობლიური თბილისის მომარაგება ნაკლებმნიშვნელოვანია?! თუ, სხვაგან უკეთესი მდგომარეობაა ამ მხრივ, ან მოსკოველებზე ნაკლები პირის გემო აქვთ?!

ისე კი, კაცმა რომ თქვას, მაინც რას ერჩით, რას ედავებით ბურლაცკის? შეაწუხა კაცი პროდუქტების პრობლემამ, ნახა, რომ მარტო პოლიტბიუროს იმედით და წარმოების ტრადიციული ფორმებით ამ პრობლემას არ ეშველება და მისი გადაწყვეტის თავისებური გზა დასახა.

და საერთოდ, ასე რომ შეუწუხებიხართ რუსი გლეხებისა და რუსული ქალაქების მომავალ ბედს, საქართველოში შემაწუხებელ-გულმოსაყვანი პრობლემები გამოგელიათ?! იქნებ სჯობდა, იმაზე დაფიქრებულიყავით, თბილისის გარშემო ასე რომ მომრავლდა არაქართველებით გადაძეძგილი სოფლები, რომ არათუ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტრადიციული ფორმები, საერთოდ ქართველი გლეხი იკარგება, რომ... და კიდევ რამდენი „რომის“ თქმა შეიძლება... (პეტრე პირველს კი სულ ტყუილად „იცავთ“. იგი სწორედაც რომ „არაფრთხილად“ ასახლებდა რუსულ ქალაქებს უცხოელებით, რომლებმაც, სხვათა შორის, მის დროსაც — და შემდეგაც — უდიდესი წვლილი შეიტანეს რუსული არქიტექტურის, მხატვრობის, საერთოდ კულტურის განვითარებაში, სამხედრო საქმის დაწინაურებაში და ა. შ.).

და საერთოდ, ი. ბუხნიკაშვილის ამ გალაშქრებამ „ლიტერატურნაია როსიას“ ფურცლებზე არ შეიძლება ის კაცი არ გაგახსენოს, სახლი რომ ეწვოდა და თვითონ ცეცხლის წამკიდებლების საშველად გარბოდა!..

ᲤᲔᲚᲘᲥᲡ ᲙᲝᲭᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
29 იანვარი, 1990 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბერიას გვირაბი???

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ახალგაზრდების ჯგუფი დაინტერესდა ე. წ. „ბერიას გვირაბის“ ყოფნა-არყოფნის საკითხით. ამ მიზნით კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ეზოდან მიწისქვეშეთში დაეშვნენ: ტყიბულის დასავლეთ შახტის ინჟინერ-გვირაბგამყვანი **დათო ლვინეფაძე**, გაზეთ „დვრიტას“ პასუხისმგებელი მდივანი **ვეფხია ცალუღელაშვილი**, ფოტოჟურნალისტი **ალექსანდრე კოტორაშვილი** და ჟურნალისტი **ლაშა ნადარეიშვილი**.

კვლევა-ძიება წარმოებს საქართველოს ახალგაზრდობის ფონდის ეგიდით.



















**სურათებზე:** პირდაფჩენილ ჭიშკარს ლაბირინთებში შევყავართ; ეს კოლოები ნესტსა და შმორში შესანიშნავად გრძნობენ თავს; წინ ახალი დაბრკოლებაა; კიბე არსაით; ეს რკინის კარი სრულიად არ ჰგავს თავის მასიურ კოლეგებს, გვირაბში უხვად რომ არიან მიმოფანტულნი; ამ ორმოში, გვირაბიდან ერთ-ერთი მეზობელი კინოთეატრის სცენაზე რომ ამოდის, დამლაგებელი ცოცხს ძველებური ხიმშვიდით ვეღარ შეინახავს; ახე გვგონია, უზარმაზარ ცისტერნაში ვიმყოფებით; გვირაბში ჩასახვლელი კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ეზოდან; აქ გვირაბის ხილული ნაწილი მთავრდება, ჩრდილოეთით მასიური ბლოკით ნაგები კედელი აღიმართა.

შენობაში, სადაც ამ დღეებში რესპუბლიკის კომკავშირის ლიკვიდაციის პროცესი დაიწყო, უწინ ლავრენტი ბერია ცხოვრობდა.

ხშირად მსმენია: აქ მისი კაბინეტი იყო, იქ — მისი აბაზანაო... ყველას მაინც საძილე ოთახის ადგილსამყოფელი აინტერესებდა... ჰორემსაც რა გამოლევდა!

მიწისქვეშა გვირაბზეც მიუთითებდნენ, რომელიც თითქოს მის საცხოვრებელ სახლს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ შენობასთან აკავშირებდა. თვითმხილველნი იმასაც ამტკიცებდნენ, 50-იან წლებში — რეკონსტრუქციის ჟამს — ეზოში უამრავი თავის ქალა და ადამიანის ჩონჩხი იპოვესო... ერთმა პიროვნებამ ისიც გვითხრა, — თითქოს გვირაბის გეგმა საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი...

არ გვინდა ზემოთ მოტანილი და სხვა ბევრად უფრო მძაფრი გადმოცემების საფუძველზე ნაჩქარევი დასკვნები გავაკეთოთ, ჩვენი მიზანიც უბრალოა — გავფანტოთ ყოველგვარი მითქმა-მოთქმა; მაგრამ, როდესაც საგულდაგულოდ მოწყობილ მიწისქვეშა რეზიდენციას ვეცნობით — თავისი წყალსადენით, ტუალეტით, ელექტროგაყვანილობითა და ვენტილაციით — უნებურად გვიპყრობს ჭეშმარიტების დადგენის სურვილი.

ჩვენ შორს ვართ მტკიცებისაგან, რომ ეს ბუნკერი აუცილებლად ბერიას უნდა ეკუთვნოდეს, ამიტომაც ჯერჯერობით მხოლოდ ფირზე აღბეჭდილი კადრები გამოგვაქვს მკითხველის სამსჯავროზე.



არც იმას გამოვრიცხავთ, რომ აქ ომიანობის წლებში უწყინარი თავშესაფარიც შეიძლება ყოფილიყო...

წარსულში ხელის ფათური სულში ხელის ფათურს ნიშნავს... წარსული ხშირად უმწარეს მოგონებებსაც აცისკროვნებს... არადა, ადამიანებს მობეზრდათ გაუთავებელი ვაი-ვიში და უბედურება. ჩვენც ერთხანს დუმილს ვაპირებდით, რათა ამ ფოტორეპორტაჟით ავად თუ კარგად მიძინებული ათწლეულები არ დაგვეფრთხო...

არასდროს გამჭირვებია წერა ამგვარად! პაპაჩემი გამახსენდა — სიმართლისათვის ნატანჯი კაცი... პოლიტიკაში ნუ გაერევიო, — მეტყოდა ხოლმე...

და თუმცა პოლიტიკაში მუდამ სისხლია, ზოგჯერ წყვდიადიც უნდა გამოიხმო!

**ლაშა ნადარეიშვილი,**
ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.

**ალექსანდრე კოტორაშვილის**
ფოტორეპორტაჟი

**ჩვენ არავის ვამტყუნებთ, ჩვენ მხოლოდ ფაქტებს ვეძებთ!**

რედაქტორი **მერაბ ბალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის [illegible] სტამბა, 380096, [illegible] 4. № 14, [illegible]
[illegible] 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13

უე 00206